პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 23 ივნისი, 1943 წ. № 134 (6759). ფასი 20 კაპ.

**სამამულო ომის ორი წლის განმავლობაში მოხდა ძირეული ცვლილებანი [illegible] პოლიტიკურ და საერთაშორისო ვითარებაში. ომის განმავლობაში ძირი გამოეთხარა ჰიტლერული გერმანიის წინანდელ სამხედრო ძლიერებას, მკვეთრად გაუარესდა სამხედრო და პოლიტიკური პერსპექტივები გერმანელ ფაშისტთა არმიისათვის. ამასთანავე, მოხდა საბჭოთა კავშირის და მისი მოკავშირე სახელმწიფოების სამხედრო და პოლიტიკური პოზიციების შემდგომი განმტკიცება, გაიზარდნენ და გაძლიერდნენ თავისუფლებისმოყვარე ხალხთა არმიები, განმტკიცდა მათი საბრძოლო სოლიდარობა**

**საბჭოთა საინფორმაციო ბიურო**

## ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებისათვის

ორი წელია მიმდინარეობს სამამულო ომი. ორი წელი გავიდა სოციალისტურ სამშობლოზე ფაშისტური გერმანიის უსინდისო და ვერაგული თავდასხმის შემდეგ. ამ პერიოდში განვლილ სამხედრო მოქმედებათა ღრმა ანალიზსა და გენიალურ დახასიათებას წარმოადგენს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს გუშინ გამოქვეყნებული ისტორიული ცნობა—„საბჭოთა კავშირის სამამულო ომის ორი წელი“. ეს არის უდიდესი დოკუმენტი, რომელიც თვალნათლივ, მკაფიოდ გვიჩვენებს საბჭოთა ხალხის, მისი წითელი არმიის გმირულ ბრძოლას დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ.

უდიდესი ინტერესით შეხვდნენ მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობას. გუშინვე თბილისის საწარმო-დაწესებულებებში აგიტატორებმა და მკითხველ-მესაუბრეებმა მუშა-მოსამსახურეებს დაწვრილებით გააცნეს, წაუკითხეს იგი, რამაც მშრომელთა შორის ახალი პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია. მუშა-მოსამსახურეებმა იკისრეს დამატებითი ვალდებულებები წითელი არმიის, ფრონტის დასახმარებლად. ამან ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ საბჭოთა ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს ვერაგი მტრის წინააღმდეგ საბოლოო

[illegible]

ქვემეხი, 42.400 ტანკი, 43.000 თვითმფრინავი. მტერს აგრეთვე უდიდესი ზარალი მიაყენეს გმირმა პარტიზანებმა, რომლებმაც 300.000-ზე მეტი ჰიტლერელი გაჟლიტეს. სავსებით ჩაიშალა გერმანელი იმპერიალისტების ავანტიურისტული გეგმები დაემონებინათ ჩვენი ქვეყანა, ამასთან, საფუძვლიანად შეირყა გერმანიის სამხედრო ძლიერება და სერიოზულ კრიზისს განიცდის ფაშისტური არმია. ასევე საფუძვლიანად არის შერყეული ფაშისტური გერმანიის ზურგი, სერიოზულად დასუსტებულია მისი ეკონომიკა. ჰიტლერელი ვანდალების მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში კი გაჩაღებულია საყოველთაო-სახალხო ბრძოლა ფაშისტური ტირანიის წინააღმდეგ. ამავე დროს, **„ომის განმავლობაში იმატა ფაშისტური გერმანიის იზოლაციამ საერთაშორისო ასპარეზზე, გაკოტრდა გერმანელების ვარაუდები ანტიჰიტლერული კოალიციის შიგნით განხეთქილებაზე, ხოლო ფაშისტური სახელმწიფოების კავშირი დაშლის პირას დგას“** (საბჭოთა საინფორმაციო ბიურო).

მთელ რიგ დამარცხებათა შედეგად გერმანელებმა ვერ შესძლეს 1943 წლის გაზაფხულზე შეტევა დაეწყოთ ჩვენს ფრონტზე. აღმოსავლეთიდან წითელი არმიის მხრივ დარტყმა ომის მსვლელობაში პირველად შეერთდა

[illegible]

## მარშალ იოსებ სტალინს, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალს

კრემლი, მოსკოვი.

ხვალ შესრულდება ორი წელი იმ მომენტიდან, რაც ვერაგული აქტით და თავისი ორპირობის ხანგრძლივი პრაქტიკის შესაბამისად ნაცისტმა მეთაურებმა მოახდინეს თავიანთი ბარბაროსული თავდასხმა საბჭოთა კავშირზე. ამრიგად, თავისი მტრების მზარდ სიას მათ დაუმატეს საბჭოთა კავშირის მძლავრი შეიარაღებული ძალები. ამ ნაცისტურმა მეთაურებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს ის მასშტაბები, რომლებითაც საბჭოთა მთავრობამ და ხალხმა გაშალეს და განამტკიცეს თავიანთი სამხედრო ძლიერება თავისი ქვეყნის დასაცავად, და მათ სრულიად ვერ გაიგეს საბჭოთა ხალხის სიმტკიცე და სიმამაცე.

ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები განუწყვეტლივ მზარდი აღტაცებით ადევნებდნენ თვალს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა ისტორიულ საგმირო საქმეებს და თითქმის წარმოუდგენელ მსხვერპლს, რასაც ესოდენ გმირულად იტანს რუსი ხალხი.

ყველა გაერთიანებულ ერთა შეერთებული შეიარაღებული ძალების მზარდი ძლიერება, რომელიც სულ უფრო და უფრო მზარდი ოდენობით იწყებს მოქმედებას ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ, მოწმობს ერთიანობისა და თავგანწირვის სულისკვეთებას, რაც საჭიროა ჩვენი საბოლოო გამარჯვებისათვის. ესევე სულისკვეთება, მე დარწმუნებული ვარ, აღგვაფრთოვანებს ჩვენ, როცა მივადგებით მშვიდობიანობის საბრძოლო ამოცანებს, რომლებსაც გამარჯვება დააყენებს მთელი მსოფლიოს წინაშე.

**ფრანკლინ დ. რუზველტი**

ვაშინგტონი, 1943 წ. 21 ივნისი.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხანაგ ს. ა. ლავოჩკინისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საბრძოლო გამანადგურებელ თვითმფრინავთა ახალი კონსტრუქციების შექმნის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ № 21 ქარხნის მთავარ კონსტრუქტორს სიმონ ალექსის-ძე ლავოჩკინს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 21 ივნისი.

## „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“

### ი. სტალინის წიგნის მესამე გამოცემა

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა მესამე გამოცემა ი. სტალინის წიგნისა „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“.

წიგნში შეტანილია ამხანაგ სტალინის ყველა გამოსვლა და ბრძანება საბჭოთა კავშირის სამამულო ომის განმავლობაში, რაც პრესაში გამოქვეყნდა. მესამე გამოცემაში შეტანილია მეორე გამოცემის გამოსვლის შემდეგ გამოქვეყნებული ახალი დოკუმენტები.

წიგნი 5 მილიონი ეგზემპლარის ტირაჟით გამოდის.

## საინფორმაციო ცნობა

## საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

1943 წ. 21-22 ივნისს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხები:

1. ციტრუსოვანთა ნარგავებისა და ევკალიპტის რემონტის, შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

2. მოსავლის აღებისა და პურის დამზადების ორგანიზაციის შესახებ.

პირველ საკითხზე პლენუმმა მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ **კ. ნ. ჩარკვიანის** მოხსენება.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: **ლ. ვ. ჩხიკვიშვილი** (ჩოხატაურის რაიონი), **გ. გ. თვალჭრელიძე** (აჭარის ასსრ), **გ. დ. ჩაჩიბაია** (ზუგდიდის რაიონი), **ვ. ვ. სიხარულიძე** (მახარაძის რაიონი), **ა. პ. ცომაია** (ტრესტი „საქეთერზეთი“), **ნ. ვ. გაბუნია** (ფოთის რაიონი), **გ. ნ. კოკაია** (გუდაუთის რაიონი), **გ. ზ. ქარჩავა** (ცხაკაიას რაიონი), **შ. ი. ჭანუყვაძე** (ქობულეთის რაიონი), **ბ. ა. იაკობაშვილი** (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), **ა. ი. მგელაძე** (აფხაზეთის ასსრ), **ტ. ქ. კვარაცხელია** (აკადემიკოსი), **ა. ნ. რაფავა** (საქ. სსრ სახელმწიფო უშიშროების სახ. კომისარი), **გ. ა. ალავიძე** (საქ. სსრ მიწსახკომი), **პ. კ. თოდუა** (გალის რაიონი).

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. **ხ. გ. ხოშტარიამ**.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: **შ. ტ. გელაშვილმა** (წითელწყაროს რაიონი), **მ. ვ. ალავერდაშვილმა** (სიღნაღის რაიონი), **ი. ა. ფეიქრიშვილმა** (გურჯაანის რაიონი), **ვ. ტ. ვართაზაროვმა** (ახალქალაქის რაიონი), **ი. პ. კუჭიაშვილმა** (ყარაიის რაიონი), **შ. ვ. კოჩლაძემ** (ბორჩალოს რაიონი), **ი. დ. კოჭლამაზაშვილმა** (საქ. სსრ სახკომსაბჭო), **ზ. ნ. კეცხოველმა** (სსრკ დამზადებათა სახ. კომ. რწმუნებული საქ. სსრ), **ს. მ. ჭელიძემ** (ც. კ. სასოფლო-სამეურნეო განყ.).

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო რეზოლუციები.

პლენუმმა ამხ. **კ. გ. ჭიჭინაძე** აირჩია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად მეცხოველეობის დარგში.

## ამერიკის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა მისალმებანი საბჭოთა კავშირისადმი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის მეორე წლისთავთან დაკავშირებით

**ნიუ-იორკი**, 21 ივნისი (საკდესი). 22 ივნისს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის მეორე წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების მთელმა რიგმა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებმა საკდესის კორესპონდენტის საშუალებით მისალმებითა და სურვილებით მიმართეს საბჭოთა კავშირს.

### ა. შ. შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე უელესი:

„თავგანწირვის შესანიშნავი სულისკვეთება, რაც გამოიჩინეს წითელმა არმიამ და საბჭოთა კავშირის სამოქალაქო მოსახლეობამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, წარმატებით უწევენ რა წინააღმდეგობას თავხედ, თავის ძალებში მეტისმეტად დარწმუნებულ დამპყრობლებს საბჭოთა ტერიტორიისას, მრავალ თაობათა განმავლობაში აღაფრთოვანებს ყველა ხალხებს, რომელნიც იბრძვიან თავისუფლებისა და სამართლიანობის შესანარჩუნებლად. ეჭვს გარეშეა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა, რომელიც საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის მსვლელობაში განმტკიცდა და გამოიწრთო, ძლიერ და სასარგებლო გავლენას მოახდენს მთელ ომისშემდგომ მსოფლიოზე“.

### წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ბლუმი:

„ამერიკელები სიხარულით აღნიშნავენ რუსეთის არმიის გამარჯვების უტყუარ ნიშნებს. გერმანელთა მხეცური თავდასხმის მეორე წლისთავი წარმოადგენს მიჯნას ნაციზმის დაღუპვის და თავისი სამშობლოს დამცველ პატრიოტთა სახელოვანი ტრიუმფის გზაზე. ამერიკელებს ესმით და იზიარებენ იმ სულისკვეთებას, რომელიც აღაფრთოვანებს საბჭოთა კავშირს. ჩვენი თავისუფალი ხალხები ერთად მოსპობენ მთელი მსოფლიოს მტერს და შეუძლებელს გახდიან, რომ მან ოდესმე კიდევ ხელჰყოს კაცობრიობის თავისუფლება. ყველა ამერიკელი პატრიოტი თავის აღტაცებას გამოსთქვამს და ულოცავს საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ხალხებს მათ მიერ გამოჩენილ დარაზმულობას, შეურყეველ სიმამაცეს და თავისუფლებისადმი უცვლელ ერთგულებას“.

მიღებულია აგრეთვე მისალმებანი საზღვაო მინისტრ ნოქსისა, სამხედრო წარმოების საქმეთა ხელმძღვანელ ნელსონისა, საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის თავმჯდომარე მერეისა, ფინანსთა მინისტრ მორგენტაუსა, სამხედრო მინისტრის მოადგილე პატერსონისა, ამერიკის სამხედრო-საჰაერო ფლოტის ქოიავარსარდალ ადმირალ კინგისა და სხვებისაგან.

## იდენმა ინახულა ამხანაგი მაისკი

**ლონდონი**, 22 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს დილით საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა რუსეთზე გერმანიის თავდასხმის მეორე წლისთავთან დაკავშირებით ინახულა საბჭოთა ელჩი მაისკი და გადასცა მას ინგლისის მთავრობის კეთილი სურვილები.

## საბჭოთა ხალხი დარწმუნებულია თავისი სამართლიანი საქმის გამარჯვებაში

### საბჭოთა ზურგი მტკიცე და ურყევია

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები უდიდესი ყურადღებით გაეცნენ გუშინ გამოქვეყნებულ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობას—„საბჭოთა კავშირის სამამულო ომის ორი წელი“.

ამწყობი საამქროს აგიტატორმა ამხ. **ნ. კირაკოზოვმა** ეს დიდმნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტი გააცნო საამქროს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა ჯგუფს. აგიტატორის მიერ მოწყობილი საუბრის დროს მუშებმა აღნიშნეს, რომ ომის ორი წლის მანძილზე წარმოებული ბრძოლების მსვლელობაში წითელმა არმიამ უდიდესი ზარალი მიაყენა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ, სავსებით ჩაშალა გერმანელი იმპერიალისტების ავანტიურისტული გეგმები საბჭოთა ხალხების დამონებისა და საფუძვლიანად შეარყია ფაშისტური გერმანიის ზურგი. ამავე დროს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში პატრიოტული სიამაყის გრძნობით ვკითხულობთ, რომ სამამულო ომის ორი წლის მანძილზე წითელი არმია კიდევ უფრო გაძლიერდა, მისი ზურგი მტკიცე და ურყევია. სამამულო ომის მეორე წლისთავს მუშებმა ახალი ვალდებულებების აღებით უპასუხეს.

კომკავშირელმა ბრიგადირმა ამხ. **ს. ლომიაშვილმა** განაცხადა, რომ იგი კისრულობს ახალ საწარმოო ვალდებულებებს: ივნისის გეგმას შეასრულებს 200 პროცენტით, გააუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს და გაზრდის შრომის ნაყოფიერებას.

ამავე საამქროს სტახანოველმა ბრიგადირმა ამხ. **ა. მამაცაშვილმა** თავისი ბრიგადის სახელით იკისრა ივნისის საწარმოო დავალების გადაჭარბებით შესრულება და ყველა იმ ორთქლმავლების ვადაზე ადრე გამოშვება, რომელთა რემონტზეც ახლა მისი ბრიგადა მუშაობს. საამქროს კოლექტივმა ახალი ვალდებულებები იკისრა საბჭოთა კავშირის სამამულო ომის მეორე წლისთავის შესახებ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობის განხილვასთან დაკავშირებით.

## თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკაში

გუშინ, პირველი ცვლის მუშაობის დამთავრების შემდეგ, თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა—„საბჭოთა კავშირის სამამულო ომის ორი წელი“, რომელშიც ღრმად და გენიალური შორსმჭვრეტელობით არის დახასიათებული სამხედრო მოქმედებათა განვლილი პერიოდი, წითელი არმიის ძლიერება, გერმანელი იმპერიალისტების ავანტიურისტული გეგმების ჩაფუშვა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, საბჭოთა ზურგის სიმტკიცე და ურყევობა, სსრ კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო კავშირის შემდგომი განმტკიცება, ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვების გარდუვალობა.

ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც გუშინ გაზეთებში გამოქვეყნდა, მუშებს წაუკითხა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის ინსტრუქტორმა ამხ. ყიფიანმა... ვატინსკაიამ.

საბჭოთა ხალხი დარწმუნებულია თავისი სამართლიანი საქმის გამარჯვებაში—ეს აზრი გამოხატეს მეორე სამკერვალო ფაბრიკის მოწინავე ადამიანებმა, რომლებმაც საინფორმაციო ბიუროს ცნობასთან დაკავშირებით ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრეს. მაგალითად, პირველი საამქროს უფროსმა ამხ. **პ. რანინბერგმა** თავისი საამქროს მუშების სახელით იკისრა კიდევ უფრო განამტკიცოს საათობრივი გრაფიკით მუშაობა, მესამე კვარტალის გეგმა შეასრულოს 103 პროცენტით. მეორე საამქროს უფროსმა ამხ. **მარიამ ჩიკაიძემ** იკისრა ივნისის გეგმის გადამეტებით შესრულება და მესამე კვარტალის პროგრამის 106 პროცენტით განაღდება. მან სოცშეჯიბრებაში გამოიწვია პირველი საამქრო. იმავე საამქროს ინსტრუქტორმა **თ. ცქვიტინიძემ** ვალდებულება აიღო გეგმა 105 პროცენტით შეასრულოს.

## იკისრეს ახალი ვალდებულებები ფრონტის დასახმარებლად

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში გუშინ აგიტატორებმა საამქროებსა და ცვლებში ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს გააცნეს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა—„საბჭოთა კავშირის სამამულო ომის ორი წელი“.

როდესაც აგიტატორმა **ნ. ბახტაძემ** საქსოვი საამქროს მუშებთან ჩაატარა საუბარი ამ უდიდესი ისტორიული დოკუმენტის შესახებ, მოწინავე მუშებმა და სტახანოველებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ ფაბრიკის მუშები ზურგში თავდადებული შრომით კიდევ უფრო გააძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას. ოთხდაზგოსანმა სტახანოველმა მქსოველმა **ა. ბერიშვილმა** ვალდებულება აიღო საწარმოო გეგმა ივნისში 115 პროცენტით შეასრულოს და გამოუშვას მაღალხარისხოვანი პროდუქცია. სტახანოველმა მქსოველმა **თ. კოპალეიშვილმა**, რომლის ქმარი სამამულო ომის ფრონტზე იბრძვის ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, იკისრა ნედლეულის და დამხმარე მასალის ეკონომიასთან ერთად გეგმა გადაჭარბებით შეასრულოს და ქსოვა შეასწავლოს დიასახლის **ვ. რომკოვას**.

ახალი ვალდებულებები იკისრეს სხვა საამქროების მუშებმაც. ისინი საუბრებში აღნიშნავდნენ, რომ სამამულო ომის დღეებში კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა ხალხების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. როგორც ჩვენს მამაც მებრძოლებში კიდევ უფრო გასაოცარი სალკლდევდა საბრძოლო სულისკვეთება, ასევე ზურგში მყოფნი თავდადებულად შრომობენ და არაფერს არ დაიშურებენ საძულველ მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად.

## გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურება გარდუვალია

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა საბჭოთა კავშირის სამამულო ომის ორი წლისთავის შესახებ ყოველ საბჭოთა მოქალაქეს აღაფრთოვანებს ახალი შრომითი თავდადებისათვის. ვიმუშაოთ უკეთ, ვიმუშაოთ ფრონტული თავდადებით, ენერგიულად, უხვად მივცეთ ჩვენს სახელოვან წითელ არმიას ყველაფერი, რაც მისთვის საჭიროა ვერაგ მტერზე გასამარჯვებლად—ასეთია თითოეული მშრომელის მოვალეობა სამამულო ომის ვითარებაში.

გერმანელ ფაშისტთა ურდოების განადგურებაში, რაც გარდუვალია, მეც მინდა ჩემი შრომითი წვლილი შევიტანო. ვიკისრე მიმდინარე წლის მეორე ნახევრის საწარმოო დავალებები შევასრულო კიდევ უფრო გადაჭარბებით, ვიდრე განვლილი თვეების საწარმოო გეგმები მაქვს შესრულებული. ივნისის საწარმოო დავალებას 130 პროცენტით შევასრულებ, მაქსიმალური რაოდენობით გამოვიყენებ ადგილობრივ რესურსებს და ძირითადად ამით უზრუნველვყოფ გეგმების შესრულებას, შესამჩნევად გავაუმჯობესებ ხარისხს და გავზრდი შრომის ნაყოფიერებას. მივაღწევთ იმას, რომ საწარმოო გეგმას ასრულებდეს ჩვენი საამქროს ყველა მუშა.

**ი. უხურგუნაშვილი**

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სატენდერო საამქროს ოსტატი.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 22 ივნისის დილის ცნობა

21 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე 6 ნაწილის ნაღმტყორცნელებმა ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს მტრის დაჯგუფებაზე და მოსპეს სულ მცირე 50 ჰიტლერელი. რამდენიმე დღის განმავლობაში სნაიპერმა ამხ. ზაიევმა დახოცა 11 გერმანელი, წითელარმიელმა ამხ. რაჯაბოვმა—4, სნაიპერებმა ლეიტენანტმა ამხ. რომანენკომ და წითელარმიელმა ამხ. დუსმატოვმა 6 გერმანელი მოსპო თითოეულმა.

* * *

ბელგოროდის რაიონში მებრძოლთა ჯგუფი გვარდიის ლეიტენანტ ამხ. პანტელეევის მეთაურობით მდინარე სევერნი დონეცზე გადავიდა, მტრის განლაგებაში შეიჭრა, წამოიყვანა ტყვეები და უდანაკლისოდ დაბრუნდა თავის ნაწილში.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 4 თვითმფრინავი.

* * *

ჩუგუევის ჩრდილოეთით ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოსპეს გერმანელთა 2 თვითმავალი ქვემეხი, დაანგრიეს მტრის ძელმიწური საცეცხლე წერტი და 4 ბლინდაჟი. ნ ნაწილის არტილერისტებმა სროლა აუტეხეს გერმანელთა ქვეითი ჯარის კოლონას. არტილერიის ცეცხლით გაფანტულია და ნაწილობრივ მოსპობილია ორ ასეულამდე ჰიტლერელი.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით ჩვენმა საბრძოლო დაცვამ შეამჩნია გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფი, რომელიც სევერნი დონეცის მარჯვენა ნაპირზე გადმოდიოდა. საბჭოთა მებრძოლები დაელოდნენ, სანამ ჰიტლერელები ნაპირზე გადმოვიდოდნენ, შემდეგ კი გარს შემოერტყნენ გერმანელ მზვერავებს და მოსპეს ისინი.

ჩვენი ავიაცია ურტყამდა მტრის ზურგში არსებულ რკინიგზის სადგურებს. დაბომბვის შედეგად 8 ადგილას ხანძარი გაჩნდა და ორგან ძლიერი აფეთქება მოხდა.

* * *

კარელიის ფრონტზე 6 ნაწილის არტილერისტებმა და ნაღმტყორცნელებმა დაანგრიეს მტრის 2 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 3 სათვალთვალო პუნქტი და ჩაახშეს რამდენიმე საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი. მზვერავთა ჯგუფმა ლეიტენანტ ამხ. გოროხჩენკოს მეთაურობით რეიდი მოახდინა მტრის ზურგში. ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს 20-მდე თეთრფინელი, დაზვერეს მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტები და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

უკრაინის ერთერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა საფრიდან სროლა აუტეხა გზატკეცილზე მიმავალ გერმანელთა ავტოკოლონას. მოკლულია მტრის 53-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩაპაევის სახელობის იმ რაზმის ამფეთქებლებმა, რომელიც ბარანოვიჩის ოლქში მოქმედებს, ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა ეშელონი. დამსხვრეულია ორთქლმავალი და 31 პლატფორმა ტანკებიანად და ავტომანქანებიანად.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა გერმანელთა 166-ე ქვეითი პოლკის ეფრეიტორმა რიჰარდ ნ-მ განაცხადა: „გასულ წელს მეორე ფრონტის ხსენებაზე ბევრი გერმანელი ჯარისკაცი გაზეთებთან ერთად თუთიყუშივით იმეორებდა, ინგლის-ამერიკის ჯარები ვერასოდეს ვერ შესძლებენ ევროპაში გადმოსხდომასო. ახლა, როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდება მეორე ფრონტზე, უკვე არავინ იცინის. ჯარისკაცებს ესმით, რომ მას შემდეგ, რაც გერმანიამ დამარცხება განიცადა ჩრდილოეთ აფრიკაში, ყოველდღე შეიძლება მოველოდეთ ინგლის-ამერიკის ჯარების შემოჭრას. ბევრი ჯარისკაცი ამბობს, რომ გერმანია დაქსაქსავს თავის ძალებს და განადგურებული იქნება. ჯარისკაცებს ყველაზე უფრო აწუხებს საკითხი, მოახერხებენ თუ არა ისინი რუსეთიდან შინ დაბრუნებას“.

* * *

ფაშისტური ტყვეობიდან გამოქცეულმა საბჭოთა მოქალაქეებმა გვიამბეს გერმანელი კაცჭამიების მიერ დონბასში ჩადენილი მხეცობის შესახებ. ქალ. კრასნი ლუჩში, ვოროშილოვსკის, ჩისტიაკოვსკისა და სხვა რაიონებში ოკუპანტებმა გამოსცეს ბრძანება, რომ შესაკრებ პუნქტში ვალდებული იყო გამოცხადებულიყო ყველა მცხოვრები 15-დან 45 წლის ასაკამდე—გერმანიაში გასაგზავნად. ბევრი საბჭოთა მოქალაქე ყოველნაირად ცდილობდა თავიდან აეშორებინა გამოცხადება. ჰიტლერელებმა მასობრივი ჩხრეკა მოაწყეს, სახლებსა და ქუჩებში იჭერდნენ მამაკაცებს, ქალებსა და მოზარდებს. დაპატიმრებას თან ახლდა სასტიკი ცემა და ხვრეტა. აპრილსა და მაისში გერმანელებმა ძალით გარეკეს გერმანიის კატორღაში ამ რაიონების რამდენიმე ათასი მცხოვრები.

## 22 ივნისის საღამოს ცნობა

22 ივნისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოსპეს 160 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. 6 ნაწილის არტილერისტებმა ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს მტრის პოზიციებზე. ყუმბარების პირდაპირი მოხვედრებით აფეთქებულია მტრის საომარი მასალების საწყობი, მოსპობილია საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეა. ცალკე უბნებზე გერმანელთა წვრილი ქვეგანაყოფები ცდილობდნენ დაზვერვა მოეხდინათ, მაგრამ გაფანტულ იქნენ ჩვენი ქვეგანაყოფების თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით.

* * *

სევსკის რაიონში 6 ნაწილის არტილერისტებმა გაჟლიტეს მტრის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი, დაანგრიეს ძელმიწური საცეცხლე წერტი, მოსპეს ორი ალალი და ააფეთქეს საომარი მასალების საწყობი.

ჩვენს ტერიტორიაზე იძულებით დაეშვა გერმანელთა 2 დაუზიანებელი თვითმფრინავი „ფოკკე-ვულფ-190“. გერმანელი მფრინავები წამოყვანილი არიან ტყვედ.

* * *

მცენსკის ჩრდილო-დასავლეთით ორივე მხრიდან საარტილერიო სროლა სწარმოებდა. დანგრეულია მტრის რამდენიმე სიმაგრე და მოსპობილია სულ ცოტა 80 ჰიტლერელი. მტრის თვითმფრინავები ცდილობდნენ თავდასხმა მოეხდინათ ერთ ჩვენს ობიექტზე, მაგრამ გაფანტულ იქნენ მიზნის მისადგომებზე. ჩამოგდებულია გერმანელთა 2 ბომბდამშენი.

* * *

გუშინ გერმანიის სარდლობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ „19 ივნისს ღამით გერმანიის მსუბუქმა სამხედრო-საზღვაო ძალებმა სროლა აუტეხეს ქალაქსა და ნავსადგურ ეისკს აზოვის ზღვაზე“. თავისთავად ეს ცნობა ყურადღების ღირსი არ იქნებოდა. მაგრამ იგი დამახასიათებელია იმ მხრივ, რომ გერმანიის სარდლობა ცდილობს ყალთაბანდურად მიაფუჩეჩოს სიმართლე არა მარტო დიდ რამეში, არამედ მცირედშიც. სინამდვილეში 20 ივნისს გერმანელთა 7 კატერი შეეცადა მოახლოვებოდა ეისკს. მტრის კატერები განდევნილ იქნენ საარტილერიო ცეცხლით და ჩვენი ავიაციის მიერ. მტრის 7 კატერიდან, რომლებიც ცდილობდნენ ქალაქს მოახლოვებოდნენ, 4 ჩაძირულ იქნა, დანარჩენმა 3-მა კი კვამლის საფარქვეშ მოახერხა მიმალვა. გარდა ამისა, ამ ოპერაციის დროს საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულ იქნა გერმანელთა თვითმფრინავი, რომელიც ზღვაში ჩავარდა. ჩვენს ავიაციას ზარალი არ მოსვლია. ასეთია ფაქტები, რომელთა შესახებ გერმანიის სარდლობას კრინტი არ დაუძრავს.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე მტერი შეეცადა დაზვერვა მოეხდინა. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა დროულად აღმოაჩინეს ჰიტლერელები და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით უკუაგდეს მტერი მისთვის დიდი ზარალის მიყენებით. მეორედ ამავე უბანზე საზვერავად გამოვიდა 50-მდე გერმანელი ჯარისკაცი. მტრის მზვერავების ეს ჯგუფი მთლიანად მოსპობილ იქნა.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა სნაიპერებმა მოსპეს მტრის 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. საარტილერიო და სანაღმტყორცნო ცეცხლით დანგრეულია 37 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 16 მიწური და 9 სათვალთვალო პუნქტი, მოსპობილია 2 ზარბაზანი, 3 ტყვიამფრქვევი, სანაღმტყორცნო ბატარეა, 13 ავტომანქანა და საზიდარი სამხედრო ტვირთიანად.

* * *

უკრაინის პარტიზანული რაზმები განუწყვეტლივ ურტყამენ მტრის მიმოსვლის გზებს. კიროვის სახელობის რაზმის პარტიზანებმა 3 ივნისს ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა სამხედრო ეშელონი. მოსპობილია ორთქლმავალი და 15 ცისტერნი საწვავ და აალებად მასალებიანად. 5 ივნისს კალინინის სახელობის რაზმმა ნაღმებზე ააფეთქა გერმანელთა მატარებელი ჯარებიანად, რომელიც ფრონტზე მიდიოდა. დაიმსხვრა ორთქლმავალი და 7 ვაგონი. შჩორსის სახელობის რაზმის პარტიზანებმა 9 ივნისს მოაწყეს მტრის ეშელონის მარცხი. მოსპობილია ორთქლმავალი, დაიმტვრა 11 ვაგონი და ძლიერ დაზიანდა 19 ვაგონი.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა შორეული მზვერავების 121-ე ჯგუფის მე-4 რაზმის ბორტმექანიკოსმა გეორგ პაულმა განაცხადა: „რაზმს მფრინავების დიდი რაოდენობა აკლია. უკვე რამდენიმე თვეა სარდლობა ცდილობს, რომ მას გამოუგზავნონ 4 ეკიპაჟი მწყობრიდან გამოსულთა ნაცვლად, მაგრამ ჯერჯერობით ამაოდ. მაისის დასაწყისში რუსეთის ავიაცია გაფთრებით დაესხა თავს ჩვენს აეროდრომს. ჩამოყრილი ბომბებით მოსპობილ იქნა 2 თვითმფრინავი და სერიოზულად დაზიანდა 10. ამის შემდეგ რაზმის მფრინავებს ორი კვირის განმავლობაში არც ერთი გაფრენა არ მოუხდენიათ. გერმანიის საავიაციო მრეწველობაში შემცვლელების ფართოდ დანერგვამ გამოიწვია თვითმფრინავებისა და მოტორების ხარისხის გაუარესება. ყოველი გაფრენის შემდეგ საჭირო ხდება მოტორების შეკეთება“.

* * *

საბერძნეთის ხალხის მასები ფეხზე დგებიან ფაშისტ დამპყრობლების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისათვის. ქალაქ სიატისტას მახლობლად ბერძენი პარტიზანები ორი დღის განმავლობაში ეწეოდნენ ბრძოლას იტალიელთა ჯარების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის შედეგად ბერძენმა პატრიოტებმა გაჟლიტეს რამდენიმე ასეული იტალიელი და ტყვედ ჩაიგდეს 17 ოფიცერი და 482 ჯარისკაცი. ერთ სოფელში კარდიცის მახლობლად ბერძენი გლეხები თავს დაესხნენ გერმანელთა რაზმს, მოკლეს 11 ჰიტლერელი და ხელთ იგდეს 3 ავტომანქანა. კორინთ-ათენის რკინიგზაზე რკინიგზელებმა მოაწყეს გერმანელი ოკუპანტების 2 მატარებლის შეჯახება.

## მტრის აეროდრომებისა და თავმოყრილი ჯარების დაბომბვა ჩვენი ავიაციის მიერ

20 ივნისს ღამით ჩვენი შორმოქმედი ავიაცია თავს დაესხა მტრის აეროდრომებს. დაბომბვის შედეგად აეროდრომებზე ბევრგან ხანძარი გაჩნდა, რასაც თან სდევდა აფეთქებანი.

ჩვენმა თვითმფრინავებმა რამდენიმე რაიონში ძლიერ დაბომბეს გერმანელთა თავმოყრილი ჯარები. მტრის ცოცხალ ძალას და ტექნიკას მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდა.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზებში დაბრუნდა.

## ჩვენი ავიაციის თავდასხმა მტრის აეროდრომებზე

21 ივნისს ღამით ჩვენი შორმოქმედი ავიაციის დიდი ძალები თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის აეროდრომებს. ძლიერ დაბომბილ იქნა აეროდრომებზე მყოფი მტრის თვითმფრინავები, აგრეთვე აეროდრომების რაიონში განლაგებული საწვავისა და საომარი მასალების საწყობები. ჩვენი ბომბდამშენების ეკიპაჟები ხედავდნენ ბევრ ხანძარსა და ძლიერ აფეთქებებს.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი, ერთის გარდა, თავიანთ ბაზებში დაბრუნდა.

## გერმანელთა თვითმფრინავების თავდასხმა დასახლებულ პუნქტზე, რომელიც ზემო ვოლგაზე მდებარეობს

20 ივნისს ღამით გერმანელთა თვითმფრინავების ჯგუფმა სცადა თავს დასხმოდა ერთ ჩვენს დასახლებულ პუნქტს, რომელიც ზემო ვოლგაზე მდებარეობს. გადამღობი ცეცხლი გადმოლახა და ამ დასახლებული პუნქტისაკენ გამოიჭრა მტრის რამდენიმე თვითმფრინავი, რომლებმაც უწესრიგოდ ჩამოჰყარეს ბომბები. ერთგვარი ზარალი მიადგა საცხოვრებელ სახლებს. სამოქალაქო მოსახლეობაში არის მსხვერპლი. თავდასხმის მოგერიებისას ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 5 თვითმფრინავი.

## გერმანელთა თვითმფრინავების თავდასხმა დასახლებულ პუნქტზე ლენინგრადის მახლობლად

21 ივნისს გერმანელთა თვითმფრინავებმა სამჯერ სცადეს მოეხდინათ თავდასხმა ერთ დასახლებულ პუნქტზე ლენინგრადის მახლობლად. მტრის ცალკეულმა თვითმფრინავებმა, რომლებიც ამ დასახლებული პუნქტისაკენ გამოიჭრნენ, უწესრიგოდ ჩამოჰყარეს ბომბები, რომლებითაც დაზიანებულია რკინიგზის ვაგონები. თავდასხმის მოგერიებისას საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 17 თვითმფრინავი. ჩვენ 9 თვითმფრინავი დავკარგეთ.

# საუკეთესოდ მოვემზადოთ უხვი სამხედრო მოსავლის ასაღებად

## უდანაკარგოდ ავიღოთ უხვი მოსავალი

ბორჩალო („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ბორჩალოს რაიონის მოწინავე კოლმეურნეობები კარგად მოემზადნენ უხვი მოსავლის ასაღებად.

სოფ. პირველი ქოსალოს კოლმეურნეობა „ენიოლში“ (თავმჯდომარე ორდენოსანი კარიბ გასან ოღლი ქასუმოვი) ადრევე გასწმინდეს ფართობები ქვებისა და ბუჩქებისაგან, ირგვლივ შემოცელეს, შეაკეთეს გზები და ხიდები, კომბაინს მიამაგრეს დამხმარეები, მოაწყეს ბუნკერიდან მარცვლეულის გაუჩერებლად გადმოტვირთვა, უზრუნველჰყვეს კომბაინის ორ ცვლად მუშაობა და სხვ. კოლმეურნეობას წელს გათვალისწინებული აქვს ნაცვლად შარშანდელი 9,6 კილოგრამისა შრომადღეზე გასცეს 10 კილოგრამზე მეტი მარცვლეული.

რაიონში 17 ივნისიდან დაიწყო თავთავიანი კულტურების მოსავლის შერჩევით აღება. ამ დღეს მარტო სოფ. თაზაკენტის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში მარცვლეულის მოსავალი აღებულ იქნა 8 ჰექტარზე. მარცვლეულის მოსავლის აღება დაიწყეს აგ- [illegible]

...მად უკვე შედგენილია კომბაინების მუშაობის გრაფიკი, ფართობები მიმაგრებულია აქტით და სხვ. მაგრამ მთლიანად მტს-მა წელს ვერ უზრუნველჰყო მოსავლის აღებისათვის წარმატებით მომზადება. მიუხედავად იმისა, რომ კომბაინების რემონტის ვადა 15 ივნისს ამოიწურა, მტს-ს ჯერ კიდევ შეუკეთებელი აქვს 5 კომბაინი. მოსავლის აღებისათვის საჭირო ტრაქტორებიდან შეუკეთებელია აგრეთვე 4 ტრაქტორი, 7 სალეწიდან—4. არ არის მზად მოძრავი სახელოსნო.

მოსავლის აღებისათვის მზადებაში ზოგიერთი კოლმეურნეობაც ჩამორჩა. სოფ. მალო მუღანლოს კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. მამედოვი) მოსავალი უკვე მომწიფდა და აღებას მოითხოვს. სოფ. გიაურარხის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის და ამავე სოფლის კოლმეურნეობა „ავანგარდის“ ხელმძღვანელებს კი, მიუხედავად იმისა, რომ მათ რამდენჯერმე აცნობეს, ჯერ კომბაინის წაყვანაზე არც უზრუნიათ.

[illegible]

## წარმოების ნაკადური სისტემის პირველი შედეგები

[illegible] ...მებულია ნაკადური სისტემით მუშაობის პირველი შედეგები. წინათ საამწყობო საამქროს პროდუქციას, სანამ ქარხნის მზა ნაკეთობის საწყობში მოხვდებოდა, სამი მარშრუტი უნდა გაევლო. ნაკეთობის ნაკადურმა აწყობამ აღმოფხვრა ზედმეტი მარშრუტები. მოისპო 300-მდე ტონა დეტალების ხელით გადატანის საჭიროება და თითქმის სრული- [illegible] ნაკეთობის წუნი. საზეინკლო-საამწყობო უბანზე ნაკადურმა სისტემამ პროდუქციის გამოშვება 20-მდე პროცენტით გაადიდა.

ქარხანა ახლა ყოველთვიურად გრაფიკის მიხედვით მუშაობს და 15 ივნისს წარმატებით დაამთავრა ნახევარი წლის საწარმოო პროგრამა. (საქდესი).

## საკ. კ. პ. (ბ) სტალინგრადის საოლქო კომიტეტის პლენუმი

[illegible] ...სახლობის აქტიური დახმარებით აღდგენილი და საცხოვრებლად მოწყობილია 1.200 სახლი, შეკეთებულია 25 სკოლა, გახსნილია ბიბლიოთეკები, კლუბები, თეატრი. მთელი ჩვენი ქვეყანა ენერგიულად ეხმარება სტალინგრადის აღდგენას.

საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. პროხვატილოვმა მოხსენება გააკეთა თესვის შედეგების, მოსავლის აღებისა და დამზადებათა შესახებ.

[illegible] ...რება, რასაც მთელი ჩვენი ქვეყანა უწევს სტალინგრადის ოლქს. თათრეთის, სვერდლოვსკისა და გორკის ოლქების კოლმეურნეობებმა სტალინგრადის ოლქის იმ რაიონებისათვის, რომელნიც გერმანელთა ოკუპაციისაგან დაზარალდნენ, გამოჰყვეს 7.300 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 13.500 ცხვარი, 2.000 ღორი და 200 ცხენი.

ყველა განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილებანი.

## სტალინგრადელ მშენებელთა მამაცური შრომა

ათასობით ახალგაზრდა მშენებელმა მოიყარა თავი ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, რათა მონაწილეობა მიიღონ სტალინგრადის აღდგენაში. ისინი სწრაფად ეუფლებიან სხვადასხვა სპეციალობას.

კიროვის ოლქიდან ჩამოსულმა კალატოზმა სვეტლანა ლიხომ აგურის სარეკორდო წყობას მიაღწია—5 საათში 2.106 ცალს, ორ ნორმაზე მეტს. ჩიხვინცევას ბრიგადის ყაზახი ქალიშვილები ცვლაში ორნახევარ ნორმას ასრულებენ.

თვითონ სტალინგრადელებმა 10 კვირეული მოაწყეს ქუჩების, მოედნების გასაწმენდად, დანგრეული შენობების ნანგრევების ასაღებად. ალექსანდრა ჩერკასოვას თაოსნობით, რომელიც დაჯილდოებულია მედლით „სტალინგრადის დაცვისათვის“, ქალაქში შექმნილია მოხალისე მშენებელთა რამდენიმე ბრიგადა. (საკდესი).

## გერმანელებისაგან წართმეული ნადავლი საჭურვლის ნიმუშების გამოფენა

(1941-43 წ. წ.)

22 ივნისს მოსკოვში, იხსნება გერმანელებისაგან 1941-43 წლის ბრძოლების დროს წართმეული ნადავლი საჭურვლის ნიმუშების გამოფენა.

ეს გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია ყველა სახის თანამედროვე შეიარაღება—ავიაცია, არტილერია, ტანკები, ჯავშნიანი მანქანები—თვალსაჩინო ილუსტრაციაა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებში მოყვანილი მონაცემებისა იმ უდიდესი ზარალის შესახებ, რაც გერმანელებს მოუვიდათ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე: გერმანელებმა და მათმა მოკავშირეებმა დაჰკარგეს 6.400.000 ჯარისკაცი და ოფიცერი მოკლულთა და ტყვეთა სახით, ყველა ყალიბის 56.500 ქვემეხი, 42.400 ტანკი, 43.000 თვითმფრინავი. რომელსაც უცქერი ამ ნადავლი საჭურვლის უდიდეს მასას, უნებურად განიცდი სიამაყის გრძნობას წითელი არმიის მიმართ: რა ძალა იყო საჭირო, რომ ასეთი ზარალი მიგვეყენებინა მტრის ტექნიკისათვის! აქ წარმოდგენილია მხოლოდ ნიმუშები იმ ნადავლი შეიარაღებისა, რომელიც გერმანელებს წავართვით, მაგრამ, არსებითად, ეს გამოფენა მიძღვნილია წითელი არმიის ძლიერებისა და მისი ტექნიკური უპირატესობისადმი, რაც გამოვლინდა გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებთან გაჩაღებული ბრძოლების ველებზე.

გამოფენაზე განსაკუთრებით ფართოდ წარმოდგენილია არტილერია. გამოფენის ტერიტორიაზე დალაგებული ქვემეხები საკმარისი იქნებოდა რამდენიმე საარტილერიო პოლკის შესაიარაღებლად. ნაწილი ამ ქვემეხებისა წითელმა არმიამ ხელთ იგდო მოსკოვის მისადგომებზე გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების დროს, რაც ომის პირველი წლის გადამწყვეტ სამხედრო მოვლენას წარმოადგენდა. ნაწილი ამ ქვემეხებისა ხელთ ვიგდეთ სტალინგრადის გმირული ეპოპეის დროს, დანარჩენი—მოტანილია სამხრეთის ფრონტიდან. პირი დაუღიათ სამუდამოდ დადუმებულ 305-მილიმეტრიანი მორტირების და 211-მილიმეტრიანი ჰაუბიცების შავ ლულებს. ბევრ ქვემეხებზე ღრმად აღბეჭდილია საბჭოთა არტილერიის გამანადგურებელი ცეცხლის კვალი, ყუმბარებით აგლეჯილია მძლავრი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების ფარები, ძლიერ დაზიანებულია სხვა ნადავლი ქვემეხებიც.

გამოფენის საარტილერიო განყოფილება უაღრესად ფრიად თვალსაჩინოდ ცხადჰყოფს, რომ გერმანიის მრეწველობა ვერ ასწრებს სამხედრო ტექნიკის იმ უდიდესი დანაკარგის შევსებას, რომელიც გერმანულ არმიას საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოსდის. იგი იძულებულია სწრაფად გადააკეთოს და გაგზავნოს ფრონტზე ისეთი დაძველებული ქვემეხები, როგორიცაა ბელგიის 47-მილიმეტრიანი ქვემეხები და 1897 წლის ნიმუშის ფრანგული ქვემეხები. ნადავლს შორის არის 1918 წლის ნიმუშის გერმანული ქვემეხები, რომლებიც სერიულად გამოშვებულია 1933 წელს.

საინტერესო და საგულისხმოა ავიაციის განყოფილება. აი მანქანები, რომლებიც ბომბებს აყრიდნენ მშვიდობიან საბჭოთა ქალაქებსა და სოფლებს. ფართოდ გაუშლიათ ფრთები გერმანულ ბომბდამშენებს, ავიაგამანადგურებლებს, მოიერიშეებს, მზვერავებს. აქ არის თვითმფრინავები, რომლებიც ხელთ ვიგდეთ სტალინგრადთან, ჩამოვაგდეთ მოსკოვთან და ფრონტის სხვა უბნებზე. აქ არის „ჰაინკელ—111“—გერმანელების ყველაზე მეტად გავრცელებული სატრანსპორტო თვითმფრინავი, რომელიც გადაკეთებულია ბომბდამშენად, „ფოკე-ვულფ-200“—მძიმე ბომბდამშენი, რომელზეც დადგმულია ქვემეხი და ხუთი ტყვიამფრქვევი; ავიაგამანადგურებლები—„მესერშმიტ-110“, სამოსწავლო-სავარჯიშო თვითმფრინავი „ფოკე-ვულფ-588“, რომელსაც მასობრივად იყენებენ სამოქალაქო მფრინავთა შემადგენლობის მოსამზადებლად. ბევრი მათგანი თავისთავად გარეგნული შეხედულებითაც კი მოწმობს, თუ რა მაგრად ურტყამენ საბჭოთა მფრინავები გერმანიის ავიაციას. ერთი თვითმფრინავისაგან ჩონჩხიღა დარჩენილა და ისიც ათეულ ადგილასაა დაცხრილული,—აი მთავრდება ჰიტლერული საჰაერო ბანდიტების შეხვედრა საბჭოთა ავიაგამანადგურებლებთან.

მრავალრიცხოვანია ტანკების განყოფილების ექსპონატები. მათ შორის არის უკანასკნელი გამოშვების მძიმე ტანკი—ეგრეთწოდებული „ვეფხი“. „ვეფხი“ ხაფანგში მოხვდა: იგი დაუზიანებლად იგდეს ხელთ ჩვენმა ნაწილებმა და გამოგზავნეს გამოფენაზე. მის გვერდით კი დგას ასეთივე „ვეფხი“, მაგრამ მისი ცნობა ძნელია, საბჭოთა არტილერიის ყუმბარებმა სულ ერთიანად დაამსხვრიეს იგი. ამ ტანკის ფოლადის ნაშთები, რომელზეც მიკრულია ტალახი და თიხა, თითქოს ცოცხლად უარყოფს წარმოადგენენ გერმანული პროპაგანდის სარეკლამო განვაშისას, რომელიც მათ ასტეხეს ამ ტანკის „უვნებლობის“ შესახებ. კიდევ ერთი „მითი“ გაჰფანტა ჩვენი წითელი არმიის სიმტკიცემ, საბრძოლო ოსტატობამ და პირველხარისხოვანმა ტექნიკამ.

ნადავლ ტანკთა შორის არიან ყვითლად შეღებილნი: იტალიის მსუბუქი ტანკი და გერმანული ტანკები „ტ-4 და ტ-3“, რომლებიც გერმანელებს აფრიკაში ოპერაციებისათვის ჰქონდათ გათვალისწინებული, მაგრამ შემდეგ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გამოგზავნეს. წარმოდგენილია თვითმავალი ქვემეხი—„ტ-2 ბ“ შასიზე, ტანკი დანიშნული თოვლზე და ჭაობიან ადგილებში სასვლელად, შემდეგ „ტ-3“ საშუალო ტანკის ნიმუში, რომელიც შეგუებულია წყალქვეშ გასასვლელად, ფრანგული, ჩეხოსლოვაკური და უნგრული წარმოების ტანკები. გერმანელებმა გაძარცვეს მთელი ევროპა, აიძულეს მისი ქარხნები ემუშავნათ გერმანელების სამხედრო მანქანისათვის, მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა მათ და როგორც უნდა ეცადონ ჰიტლერელი ყაჩაღები, გერმანიის მრეწველობა ვერ შესძლებს შეავსოს ის უდიდესი დანაკლისი, რომელიც გერმანიის არმიას აღმოსავლეთის ფრონტზე მოსდის.

გამოფენის ერთ-ერთი პავილიონი დათმობილი აქვს ქვეითების იარაღს და კავშირგაბმულობას. წარმოდგენილია გერმანული და ჩეხოსლოვაკური ხელის ტყვიამფრქვევები, თოფები, ყუმბარები, გერმანული, ფინური და უნგრული რადიოსადგურები, ასომბეჭდავი და ასოების მხატავი აპარატები. ყურადღებას იპყრობს მთელი რიგი აპარატები ფელდმარშალ პაულიუსის შტაბის სატელეფონო კვანძისა, რომელიც ხელთ ვიგდეთ სტალინგრადთან გერმანელების განადგურების დროს.

გამოფენა დამაჯერებლად გვიამბობს გერმანული სამხედრო ტექნიკისა და გერმანული არმიის დასუსტების შესახებ, ნათელ წარმოდგენას იძლევა წითელი არმიის დარტყმების მზარდ ძლიერებაზე, ამტკიცებს იმის რწმენას, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ მტერზე, როგორაც უნდა სცადოს მან თავის დაძვრენა სხვადასხვაგვარი „ტოტალური მობილიზაციების“ საშუალებით. (საკდესი).

# ტელეგრამები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 21 ივნისი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ 20 ივნისს ღამით ინგლისის ავიაციამ დაბომბა რადიოაპარატურის ქარხანა ფრიდრიხსჰაფენში. ქარხანა ამზადებს რადიო საპელენგაციო დანადგარებს და გერმანიაში ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა. ქარხანა დიდად დაზიანდა.

ლონდონი, 22 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 21 ივნისს ღამით ინგლისის ავიაციამ მოახდინა უძლიერესად კონცენტრირებული თავდასხმა კრეფელდზე (რაინის ოლქი). ინგლისის 44 ბომბდამშენი ბაზაში არ დაბრუნებულა.

21 ივნისს ღამით ინგლისის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს მტრის აეროდრომზე პუაში (ჩრდილოეთ საფრანგეთი).

მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის შტაბი იუწყება, რომ 20 ივნისს ღამით „ველინგტონ“ ბომბდამშენებმა თავდასხმა მოახდინეს ნეაპოლის ობიექტებზე. გუშინ დღისით იმავე ობიექტებს ბომბავდნენ თვითმფრინავები „მფრინავი სიმაგრეები“.

## ამერიკის ავიაციის თავდასხმა გერმანიასა და ბელგიაზე

ლონდონი, 22 ივნისი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, 22 ივნისს ამერიკის მძიმე ბომბდამშენების დიდმა შენაერთმა თავდასხმა მოახდინა ობიექტებზე რურის ოლქსა და ბელგიაში. ამერიკის ბომბდამშენები მოქმედებდნენ ინგლისისა და ამერიკის ავიაგამანადგურებლების და აგრეთვე მოკავშირეთა და დომინიონების ავიაგამანადგურებელთა დახმარებით.

## ამერიკის ავიაციის მოქმედება ხმელთაშუა ზღვის ბასეინში

ლონდონი, 22 ივნისი (საკდესი). ამერიკის საჰაერო ძალების შტაბი კაიროდან იუწყება, რომ 21 ივნისს დღისით „ლიბერეიტორ“ ბომბდამშენთა დიდმა შენაერთებმა იერიში მიიტანეს რეჯიო-დი-კალაბრიასა და სან-ჯოვანიზე (იტალია). მტრის ობიექტებს 130-მდე ტონა ფუგასური და ცეცხლწამკიდი ბომბები დააყარეს.

## მასობრივი პოლიციური ჩხრეკა და დაპატიმრებანი ბულგარეთში

სტამბოლი, 22 ივნისი (საკდესი). მასობრივი პოლიციური ჩხრეკა, რომლის დროსაც მრავალრიცხოვანი დაპატიმრება ხდება, ყოველდღიურ მოვლენად იქცა ბულგარეთის ქალაქებსა და სოფლებში. ამას წინათ მრავალი გლეხი დააპატიმრეს სოფიის რაიონის სოფლებში დერვენიცსა და ნოვოსელცში. პლოვდივის, დუმენისა და სხვა ოლქებში მოქმედებენ პოლიციის დიდი რაზმები, რომლებიც სისტემატურად „ცხრილავენ“ დასახლებულ პუნქტებს—ეძებენ „არაკეთილსაიმედოებს“.

ბულგარეთში მყოფ გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის გახრწნილება შესამჩნევად მატულობს. მთვრალი ჰიტლერელი ჯარისკაცები ხმაურად მართავენ კამათს ომის პერსპექტივების შესახებ, ლანძღავენ თავის სარდლობას, სტეხენ ჩხუბს. გერმანელთა საგარნიზონო საპყრობილე სოფიაში გაჭედილია ჯარისკაცებით, რომლებიც მსჯავრდადებული არიან სამხედრო დისციპლინის დარღვევისათვის. ქალაქის ქუჩებში ძლიერი რაზმები პატრულობენ.

სოფიის მოსახლეობა არ მალავს თავის მტრულ დამოკიდებულებას გერმანელებისადმი; ცნობილია გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა მოკვლის და ცემის მრავალი შემთხვევა. ამასთან დაკავშირებით ჰიტლერული სარდლობა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს მარტოდ სიარულს უკრძალავს.

## ჰიტლერელები ძარცვავენ ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებს

ვაშინგტონი, 20 ივნისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ინფორმაციის ბიურომ გამოაქვეყნა ცნობები ჰიტლერული მძარცველობის შესახებ ოკუპირებულ ქვეყნებში. ანგარიშში აღნიშნულია, რომ გერმანიის კონცერნებმა და განსაკუთრებით „გერმან გერინგ ვერკემ“, რომლის აქციების ნახევარი ფაშისტური ზედაფენის ხელშია, ჰიტლერელთა არმიის დახმარებით მიითვისეს მრეწველობის მრავალი დარგი ოკუპირებულ ქვეყნებში.

ჰიტლერელებმა ხელში ჩაიგდეს ჩეხოსლოვაკიის მთელი მძიმე მრეწველობა. პოლონეთში მათ ხელთ იგდეს პოლონეთის 9.000-ზე მეტი ქარხანა და ფაბრიკა, 6.000-მდე სავაჭრო საწარმო და 2 მილიონი ჰექტარი მიწა. საფრანგეთში, იუგოსლავიაში, ჰოლანდიასა და ლუქსემბურგში—ყველგან გერინგმა თავის ხელში ჩაიგდო მძიმე მრეწველობის მრავალი საწარმო. მან თავის კლანჭებში მოაქცია ჰიტლერული გერმანიის „მოკავშირეებიც“. რუმინეთში გერინგი რუმინეთის ხელისუფალთა თანაბრად ფლობს აქციებს კომპანია „რუმენიშე დოიჩე აიზენინდუსტრისა“, რომელიც კონტროლს უწევს რკინისა და ფოლადის წარმოებას, აგრეთვე ორთქლმავალსაშენებლო, ვაგონსაშენებლო და მოტორსაშენებლო საწარმოებს და თითქმის მთელ საავიაციო მრეწველობას.

ბერლინში შექმნილია კომპანია „ზიუდ-ოსტ მონტანი“, რომელმაც ხელში ჩაიგდო იუგოსლავიის სამთამადნო მრეწველობა. გერმანიის კომპანიებმა ხელთ იგდეს ყველა ფოლადსადნობი საწარმო ლოტარინგიაში, რომლებიც გადაცემული არ იყო გერინგის კონცერნისათვის, კონტროლს უწევენ ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის მეტალურგიულ საწარმოებს, ბელგიის სამსხმელო საწარმოებს, უნგრეთის ბოქსიტისა და იუგოსლავიის სპილენძის საბადოებს.

## ლუქსემბურგი

1940 წლის 10 მაისს გერმანელმა ფაშისტებმა დაიპყრეს ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, რომლის მოსახლეობას სულ 300 ათასი მცხოვრები შეადგენს, ქვეყანა, რომელიც ისე პატარაა, რომ რუკაზე საკუთარ სახელსაც ვერ იტევს—მისი სახელწოდების აღსანიშნავად კარტოგრაფები მოსაზღვრე ქვეყნების—საფრანგეთისა და ბელგიის სივრცეს იყენებენ. ლუქსემბურგმა 1839 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამ პატარა და მშვიდობისმოყვარულმა ქვეყანამ სამუდამო შეუიარაღებელი ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. იგი არავის ებრძოდა, არც ფიქრობდა ბრძოლას. მაგრამ პირსისხლიანმა ჰიტლერმა მაინც გასთელა ლუქსემბურგი და მისი დამოუკიდებლობის სრული მოსპობის მიზნით გერმანიის მოზელის ოლქს შეუერთა. მაგრამ ლუქსემბურგელებს, რომლებიც თავისი პატარა ქვეყნის მხურვალე პატრიოტები არიან, არ სურთ გერმანელები იყვნენ. ვერც ჰიტლერის აგენტმა ჰაულეიტერმა გუსტავ სიმონმა და ვერც გესტაპომ ვერ შესძლეს ლუქსემბურგელების გაგერმანელება. ლუქსემბურგელები მაინც პატივსა სცემენ თავის ნაციონალურ ნიშნებსა და სიმბოლოებს, დროშას, ჰერალდიკას, გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლაში 1914-18 წ. დაღუპული 3.000 ლუქსემბურგელის „ხსოვნის მონუმენტს“.

ლუქსემბურგელებს უყვართ თავისი წარსული, გმირი წინაპრები. სახელგანთქმულმა მშენებელმა ვობანმა ამ ქვეყნის სატახტო ქალაქი ლუქსემბურგი ევროპაში ერთ-ერთ მძლავრ სიმაგრედ გადააქცია. ლუქსემბურგელებს სურთ ლუქსემბურგელებად დარჩნენ. მათ სძულთ გერმანელი ფაშისტები. როცა 1941 წლის ოქტომბერში ჰიტლერელებმა მოსახლეობის აღწერა ჩაატარეს, ლუქსემბურგელების 97 პროცენტმა ანკეტებში უჩვენა, რომ „ეროვნებით ლუქსემბურგელია“, ხოლო „მშობლიური ენა ლუქსემბურგულია“.

გერმანელებმა ლუქსემბურგელებს „ქვისსახიანი ადამიანები“ უწოდეს. ახალგაზრდა პატრიოტებმა ამის პასუხად დააარსეს არალეგალური ორგანიზაცია „ქვისსახიანთა საზოგადოება“.

ლუქსემბურგის ქალაქ დიფერდინგში ერთ ფაშისტ „ორატორს“, როცა მან სიტყვა დაამთავრა სამჯერ შეძახილით „ჰაილ ჰიტლერ“, სამარისებური დუმილით უპასუხეს დამსწრე ლუქსემბურგელებმა. მაშინ ჰიტლერელებმა კარები ჩაჰკეტეს და განაცხადეს, ვინც არ დაიძახებს, აქედან არ გავუშვებთ.



მაგრამ ხმა არავის ამოუღია. ბოლოს ფაშისტები მაინც იძულებული გახდნენ კარი გაეღოთ, ისე რომ მიზანს სრულებით ვერ მიაღწიეს.

ჰიტლერული ძალადობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ლუქსემბურგელები ატარებდნენ სახელმწიფოებრივ ემბლემას—წითელ ლომს. ჰიტლერელებმა იგი აკრძალეს. მაშინ ლუქსემბურგელებმა დაიწყეს ემბლემის ფერის ტარება. ჰიტლერის აგენტი გუსტავ სიმონი ემუქრება ლუქსემბურგელებს—ვინც თავის ბავშვებს „ჰიტლერული ახალგაზრდობის კავშირში“ არ შეიყვანს, მე ვერ მოვითმენო. არც ერთი ვაჟი და ქალიშვილი სკოლაში მიღებული არ იქნება, თუ ისინი ფიურერის ახალგაზრდობის კავშირს არ ეკუთვნიანო. მაგრამ ახალგაზრდა ბანდიტთა კავშირში ლუქსემბურგელი ჭაბუკები და ქალიშვილები არ შედიან.

როცა ჰიტლერელებმა ლუქსემბურგში გამოაცხადეს მობილიზაცია, იქ დაიწყო საყოველთაო გაფიცვა. ეს იყო ოკუპირებულ ევროპაში პირველი საყოველთაო გაფიცვა. ამის საპასუხოდ ფაშისტებმა სასტიკ მხეცობას მიმართეს. მათ მშობლებს დააშორეს ბავშვები, მოაწყეს მოსახლეობის დარბევა და ხოცვა-ჟლეტა. ლუქსემბურგში პარპაშებს გესტაპო. მაგრამ მაინც გაფიცვებს აწყობენ ლუქსემბურგელი მუშები, ახალგაზრდები. გერმანელებს უხდებათ შემოიღონ განსაკუთრებული მდგომარეობა, მოსახლეობას დაადონ კონტრიბუციები ანტიჰიტლერული საქმიანობისათვის. ასე ხდება პატარა ლუქსემბურგში. გერმანიის მონობაში წასაყვანად სადგურზე მიყვანილი ლუქსემბურგელი ახალგაზრდები ვაგონებში არ ჩასხდნენ, რის გამო ჰიტლერელებმა იარაღი გამოიყენეს მათ მიმართ. პატარა ლუქსემბურგი ასე იბრძვის და კიდევ უფრო აძლიერებს ბრძოლას ჰიტლერელ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

სიმონ ჩიქოვანი

# ქართველი მებრძოლები ყუბანში

თებერვლის მიწურული იყო. ყუბანში თოვლი და სუსხიანი ქარი მძვინვარებდა. თვალუწვდენელ სივრცეზე გაფანტული სოფლები კვამლში ეხვეოდნენ და კავკასიონთან გატეხილი მტრის ლაშქარი გარბოდა აზოვის ზღვის მიმართულებით. დამცირებული ოჯახები, ნანგრევთა შორის მოფუსფუსე მოხუცები და შეწუხებული დედების გაყინული სახეები აღბეჭდილიყვნენ მებრძოლთა გონებაში, და ისინი მედგრად მიდიოდნენ გერმანელ ავაზაკთა მოსასპობად. ყინულით მოჭედილი ჭაობები, ტბები და ლიმანები ბრძოლით გადალახეს საბჭოთა ჯარებმა და ყუბანის სიღრმეში შეიჭრნენ. დამარცხებული მტერი ხშირად იკრებდა ძალას და დაკარგული ზღუდეების დაბრუნებას ცდილობდა; მტერს უნდოდა სადმე ფეხი მოეკიდებინა და სამხედრო საჭურველი გადაერჩინა. თერგის ნაპირებით გამოსული ქართველი მებრძოლები მოძმე ხალხების შვილებთან ერთად გაფიცხებული იერიშით მიიწევდნენ წინ. აკვამლებული, დაუსრულებელი ტრამალები ეგებებოდნენ გაზაფხულს და ქართული თვალისთვის ეს უჩვეულო სივრცე დღითიდღე მიმზიდველი და საყვარელი ხდებოდა. ამ მიდამოში მათი სისხლიც დაიღვარა, მრავალი ძმის სიცოცხლე მიიბარა ყუბანის მიწამ, და ქართველმა მეომრებმა აქვე იგემეს მტერზე გამარჯვებით გამოწვეული სიხარული. ჯერ კიდევ თერგის ნაპირთან მათ დაამსხვრიეს გერმანელთა ერთი ნაწილი და ახლა მრავალი სახელმოხვეჭილი მეომარი მიემართებოდა მტერთან საპასუხოდ. მტკიცე ნაბიჯებით სივრცეს სჭრიდა მოზდოკის რაიონში გამოჩენილი მებრძოლი ორდენოსანი უფროსი ლეიტენანტი აბდულ წულუკიძე. ქობულეთში აღზრდილი ვაჟკაცი ადვილად შეეთვისა ყუბანის ტბებსა და ლიმანებს. ნესტიანი ქარი და სუსხი ვერ არყევდა მის გოლიათურ აგებულებას. დეკემბრის განმავლობაში მან ოცდახუთი ჰიტლერელი მოჰკლა და ორჯერ გაარღვია მტრის გარემოცვა, მოსპო მტრის ერთი საცეცხლე წერტი, მოჰკლა მეთიხნე, მტრის ხელის ტყვიამფრქვევი და სამასი მეტრი მავთული გამოიტანა ბრძოლიდან. მასთან თავგანწირულად იბრძოდა ზემდეგი მჭედლიშვილი, მხოლოდ ერთ შეტევაში მან ექვსი ჰიტლერელი მოჰკლა და მტრის რკალი გაარღვია შეუპოვარი იერიშით. მებრძოლები ჩარგეიშვილი, ივანიშვილი, ფილიპე ფოცხვერია და სერგო ჯანელიძე მათთან ერთად იბრძოდნენ და ახლა ერთი ოჯახის შვილებივით შეთანხმებულნი ეწეოდნენ მხედრულ ცხოვრებას. თერგის ნაპირიდანვე მიდიოდა ლაჯანურის ხეობიდან გამოსული ორდენოსანი უფროსი ლეიტენანტი შალვა დავითულიანი, იგი ყოველთვის მხედრული გამჭრიახობით და მამაცობით ასრულებდა საბრძოლო დავალებას. ერთხელ მოიერიშე ნაწილთა შორის კავშირი გაწყვეტილი იყო და შეტევა ფერხდებოდა, მაშინ დავითულიანი მცირე რაზმით ფრთხილად გავიდა მტრის მარცხენა ფრთაზე, კავშირი აღადგინა და მტრის ჯარის სრული დაზვერვა მოახერხა. მრავალი ასეთი სახელმოხვეჭილი ქართველი მებრძოლი განაგრძობდა ბრძოლას ყუბანის ტრამალზე. აქ იყო ორგზის ორდენოსანი მეთაური ფირაძე, თავდადებული პატრიოტი კაპიტანი ჯაფარიძე, ლეიტენანტი დუმბაძე, ორდენოსანი უფროსი ლეიტენანტი წურწუმია. საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის კოლმეურნე ალექსანდრე ქიტიაშვილი, დახელოვნებული მეტყვიამფრქვევე, იგი თერგის ნაპირიდან მოყოლებული თიბავდა მტერს და თავდადებით კაფავდა ჰიტლერელ ავაზაკებს. სახელგანთქმული არტილერისტები: ორდენოსანი მაიორი გაბრინდაშვილი, მემიზნე ორდენოსანი წურწუმია, კომისარი ლორია და ახალგაზრდა პოეტი სანდრო ეულენტი, რომელიც თავდადებით იბრძოდა საზიზღარი მტრის წინააღმდეგ და ბრძოლაშივე მღეროდა როგორც ქარიშხალთან შეჯახებული ფრინველი:

ჩემო სამშობლოვ, ჩემს სიჭაბუკეს
შენ შემოგწირავ, გწამდეს მარადის.

ასეთი იყო მისი უკანასკნელი სიმღერა. ამ სტრიქონებში პოეტმა გამოხატა ქართველ მებრძოლთა სულისკვეთება და თავისი სიჭაბუკე მართლაც შესწირა საყვარელ სამშობლოს. ყოველ ფეხის ნაბიჯზე დასტურდებოდა პოეტ-მეომრის სისხლით დაწერილი სტრიქონები. მტერი უბრძოლველად არ სტოვებდა საბჭოთა მიწის არც ერთ მტკაველს. ცეცხლი და მახვილი მეფობდა ყუბანის ტრამალებში.

თერგიდან გამოქანებული მებრძოლთა მუხლები არ შეჩერებულა, მარჯვენას და შაშხანას არ დაუსვენია, ქვემეხთა გრიალი არ შეწყვეტილა. ჭაობები, ლიმანები, ლელიანები და ტბები ბრძოლით გადმოლახეს ჩვენმა მებრძოლებმა და სოფელ კ-ს სამხრეთით მიადგნენ. კ-დან პირდაპირი გზა გერმანელთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტისაკენ მიემართებოდა. კ-ს აღებით ამ პუნქტში მოქცეული გერმანელთა ნაწილები საფრთხეში ვარდებოდნენ. მტერმა გადასწყვიტა ხსენებული სოფელი გაემაგრებინა და საფრად გამოეყენებინა იგი. მართლაც მან მოიშველია ახალი ძალები და სოფელში საბრძოლო ზღუდეები აღმართა. ორი დღის განმავლობაში სოფლის ზოგიერთი უბანი ხელიდან ხელში გადადიოდა. იერიშიც სახლიდან სახლში გრძელდებოდა. სოფელი ეხვეოდა ცეცხლში და კვამლში. გერმანელებს გამაგრებული მაღლობი ეჭირათ და გაძნელდა მათი საცეცხლე წერტებიდან ამოგდება. თვით კ-ა ჭაობებით შემორკალულია და მხოლოდ ერთი გზით უერთდება გარეშე სამყაროს. ეს გზა ნაღმების ცეცხლით გადაღობა მტერმა, ხოლო მტრის შემოვლა ჭაობების გამო შეუძლებელი შეიქნა, მტერმა ჭაოდან ჩვენი პოზიციების ბომბარდირება მოაწყო. საბჭოთა მებრძოლები მაინც შეურყევლად იბრძოდნენ, ფეხი არავის მოუცვლია, მტრის სიმრავლემ გამარჯვების წყურვილი ვერ ჩაჰკლა, შიში ვერ აღძრა მებრძოლთა გულში.

„მგელი არ მოშლის მგლობასა,
კაი ყმა მამაცობასა“

გვიანდერძა ჩვენმა წინაპარმა და ეს ანდერძი ამოღებულ ხმალივით მიუძღვებოდა ქართველ მეომარს, იგი მგლისადმი დაუნდობელი იყო და მამაცობით ასრულებდა თავის მოვალეობას მამულის წინაშე. ყოველი წუთით ბრძოლა ცხარდებოდა, მტერმა შესძლო ფეხი მოემაგრებინა სოფელში და ჩვენი ნაწილების შუა მოქცეულიყო, მისი ტანკები და მევატომატეები ჩვენი განლაგების სიღრმეში შემოიჭრნენ. სახლებში გამაგრებულმა ფრიცებმა ცეცხლი გააძლიერეს. გულადი მაიორი მანაგაძე თავისი მებრძოლებით მაინც წინ მიიწევდა. მტრის დანთებული ცეცხლი ვერ ერყევდა გულს, მისი კუნთებიანი სხეული ადვილად ეგუებოდა სუსხიან ბუნებას და სასტიკ ბრძოლას; იერიში იერიშზე ტალღებივით მიდიოდა.

ბრძოლის ამ გადამწყვეტ წუთებში თავი ისახელა კაპიტანმა გიორგი კინწურაშვილმა. სასწრაფოდ გამოუძახა მას ბერუჩაშვილმა და დაავალა შეეერთებინა ჩვენი ნაწილები. მტრის ტანკებით ირკალებოდა ჩვენი პოზიცია, სახლებიდან ნაღმები განუწყვეტლივ მოჰქროდნენ, ტყვიამფრქვევები ცხრილავდნენ სოფელს. კინწურაშვილი შეუდგა დავალების შესრულებას. მან გადასწყვიტა უპირველესად სახლებში მყოფი ჰიტლერელთა საცეცხლე ბუდეები დაენგრია და ჩვენი ნაწილები შეეერთებინა. სუსხიანი ქარი მძვინვარებდა და თოვლჭყაპი სახეში სცემდა მებრძოლებს. ოპერაცია სრულ ორ საათზე დაიწყო. საღამოს შვიდ საათზე მტერმა განმეორებით ჩვენი ნაწილების ბომბარდირება მოახდინა. კინწურაშვილი თავისი მებრძოლებით მაინც განაგრძობდა წინსვლას. დახელოვნებულ მებრძოლს შალვა დავითულიანს დაევალა მტრის მაშველი ნაწილების დაზვერვა მოეხდინა. იგი გამოცდილ მზვერავ ლატარიას და სხვა თორმეტი მებრძოლის თანხლებით გადავიდა ლელიანში და მეწყერის სიბნელეში მიიმალა... ღამე ფრინველივით დაეშვა დაბლობში და ბრძოლის ცეცხლი უფრო მკაფიოდ აელვარდა ჯანღიან სივრცეში.

მაიორი შავლიაშვილი კ-დან ოთხი კილომეტრით დაშორებული იდგა და საბრძოლო დავალებას ელოდა. სოფელში შესასვლელი გზა მტერს ჰქონდა დაკავებული და შავლიაშვილის მეომრები ბრძოლის ველიდან ტბით და გაუვალი ჭაობით იყვნენ გადაღობილი, ღამის სამ საათზე მაიორმა საბრძოლო ამოცანა მიიღო: როგორმე დახმარებოდა სოფელში მებრძოლ ნაწილებს და მტრისათვის ზურგში დაერტყა. დავალება ძნელად შესასრულებელი სჩანდა, რადგან ჭაობის და ტბის გადალახვა ასეთ მრუმე ღამეში შეუძლებელი იყო. მოყინულ ტბაზე მაიორს ორმოები ეგულებოდა და ლაქაშებით დაცხრილული ზედაპირი გაუვალ ეწერს მოგაგონებდათ, ხოლო საბრძოლო დავალების დაყოვნება არ შეიძლებოდა. დაფიქრებულ მაიორს მევატომატე ევგენი ძლიერიშვილი მოხვდა თვალში. ძლიერიშვილმა სახელი ჯერ კიდევ თერგის ნაპირებზე ბრძოლაში მოიხვეჭა და ახლა გამოცდილ მეომრად ითვლებოდა. მაიორი ეთათბირა მას და მებრძოლმა რამდენიმე წუთში მოიყვანა ადგილობრივი მეთევზე, ახოვანი და ბრგე მოხუცი. მეთევზემ სიხარულით იკისრა მებრძოლთა მეგზურობა და ნაწილის მოყინული ტბით უვნებლად მიყვანა დანიშნულ ადგილზე. მოხუცი გაუძღვა მებრძოლებს, წყვდიადი მეფობდა გაუვალ მიდამოში, ძნელი გამოსაცნობი იყო, სად სრულდებოდა ჭაობი და სად იწყებოდა ლელიანი ტბა. მოხუცმა მაშინვე გაარკვია ყოველივე: ლაქაშთა შორის ირმის ნახტომივით გავლებული ზოლი მეთევზეთა ნავებით გაკაფული ტბის ზედაპირს მოასწავებდა. ამ ადგილებში ტბა უფრო ღრმა იყო და ყინულიც უფრო სქელი. მეთევზეების მიერ ამ გაკაფულ ტბის ზედაპირზე გაიყვანა მოხუცმა ჩვენი მებრძოლები. ისინი უხმოდ და ბრძოლის ჟინით აღჭურვილნი წავიდნენ ბრძოლის ველისკენ. ქარი სახეში სცემდა მეომრებს და სიცივე ძვლებში ატანდა. დილის ექვს საათზე მთელი ნაწილი მიადგა ბრძოლის ცეცხლში გახვეულ სოფელს. იგი ტბიდან მოულოდნელად ამოვიდა და ორი მხრით დაესხა მტერს. პირველი შემტევი რაზმი მტრის ტანკების ცეცხლში მოხვდა მალე და შევიწროვებულ იქნა მტრის ურჩხულების კონტრიერიშით. კაპიტან ავთანდილ კვარაცხელიას დაევალა დახმარებოდა განსაცდელში ჩავარდნილ მებრძოლებს. იგი ძლიანი საფრიდან გამოვიდა და ბრძოლის მოწინავე ხაზზე შეიჭრა. მისმა ვაჟკაცურმა გაქანებამ გაიყოლია მებრძოლები და ისინი პირისპირ შეხვდნენ ტანკების შემოტევას. მტრის ტანკების მიერ დანთებული ცეცხლი გადაეღობა ჩვენს ნაწილს. ბრძოლა შეხურდა, მტერმა მოიკრიბა ძალა და ძირინდომა ჭაობის მხრიდან ამოსული ნაწილების უკანვე გადაყრა. კაპიტანმა კვარაცხელიამ გადასწყვიტა შეეჩერებინა ტანკების მოწოლა და მათი რკალი გაერღვია. მან თვითონ აიღო ტანკსაწინააღმდეგო თოფი და მედგრად ააფეთქა მოწინავე ტანკი. მეთაურის ვაჟკაცობით გამხნევებული მებრძოლები ეკვეთნენ მტერს, მტრის ტანკთა გუგუნმა გადასერა სივრცე. ტანკებს მოჰყვებოდნენ მევატომატეთა ჯგუფები და მეტყვიამფრქვევენი. დილაც ჯანღიანი დადგა და ნესტიანი ქარი გაძლიერდა. ჩვენმა მეომრებმა ბრძოლის ხაზი შეინარჩუნეს და განლაგდნენ. ორდენოსანმა მეთაურმა მიხეილ შავლიაშვილმა გაიყვანა მეტყვიამფრქვევეთა ასეული და მედგარი ცეცხლით გადაღობა ტანკთა კოლონას მოფარებული ჰიტლერელთა ქვეითი ჯარი, მოსწყვიტა ისინი ტანკებს და შეუდგა მათ ჟლეტას. მისი ცეცხლი მოედო მტრის ლაშქარს და მუსრი გაავლო მას.

კაპიტან კვარაცხელიას ხელმძღვანელობით და მხედრული ენთუზიაზმით შეჩერებულ იქნა ფაშისტურ ურჩხულთა იერიში. რამდენიმე ტანკი გამოყვანილ იქნა მწყობრიდან, დანარჩენებმა კი იერიშის მიმართულება შესცვალეს. სწორედ ამ დროს დაიღუპა გულადი კაპიტანი ავთანდილ კვარაცხელია, იგი მტრის სნაიპერის ტყვიით სასიკვდილოდ დაიჭრა, მამულის სიყვარულით მფეთქავი გული ბრძოლის ცეცხლში დაიწვა. უკანასკნელ წუთებში მასთან მყოფი ამხანაგები გადმოგვცემენ სიკვდილის წინ კაპიტანის მიერ ნათქვამ სიტყვებს: ვწუხვარ, რომ მეორე სიცოცხლე არა მაქვს. მეორე სიცოცხლეც რომ მქონოდა, იმდენსავე გერმანელს კიდევ მოვსპობდი და ამ სიცოცხლესაც მამულს შევწირავდიო. ასე მტრისადმი სიძულვილით და გამარჯვების წყურვილით ჩაქრა მისი ცეცხლიანი გული. მისმა მებრძოლებმა განაგრძეს სასტიკი ბრძოლა და მეთაურის თავდადებით შთაგონებულებმა დალახვრეს მტრის ლაშქარი. მეორე უბანზე ჩვენი ერთი ჯგუფი ტანკების რკალში მაინც მოექცა და მას განადგურება ელოდა. მაშინ კაპიტანმა ორჩილ მაჩხანელმა და კაპიტანმა კონსტანტინე ტაბიძემ გამოიტანეს ტანკსაწინააღმდეგო თოფები და მტრის ურჩხულებს შეეჯახნენ. ორი ვაჟკაცის გულადობამ და თავგანწირულმა ბრძოლამ გადაარჩინა განსაცდელში ჩავარდნილი ერთი ჯგუფი. მათი მხედრული დახმარებით ჩვენი მებრძოლები გამოვიდნენ ცეცხლიდან და გერმანელებს უკან დაახვედრეს. ორივე გულადი მეთაური—მაჩხანელი და ტაბიძე თავდადებულად იბრძოდნენ. „ამისა უფროსი სიყვარული არა არს, რათა კაცმან დადვას სული თვისი მეგობართა თვისათვის“, გვეუბნება მეცამეტე საუკუნის მხედარი ქართველი მემატიანე; მოძმისადმი სწორედ ამგვარი მაღალი სიყვარული ასულდგმულებდა ჩვენი მებრძოლების თავდადებულ მოქმედებას. მათმა ვაჟკაცობამ მტერი დაამხო და რკალში მოქცეული ჩვენი ერთი ნაწილი დაღუპვას გადაარჩინა. ამ შეტაკებაში საკუთარი სიცოცხლით დაადასტურა მამულისადმი სიყვარული კაპიტანმა ვიქტორ ჯაფარიძემ. მისი მგზნებარე ხმა თავდადებისაკენ მოუწოდებდა ამხანაგებს. იგი შეუპოვრად მიაპობდა ცეცხლიან ტალღას. მაჩხანელის, კვარაცხელიას, ტაბიძის და ჯაფარიძის გმირული სახელი არასოდეს ამოიშლება ქართველი ხალხის გულიდან. მათი თავდადება საბჭოთა ქვეყანამ სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით აღნიშნა და მათი გმირობა შთამომავლობას გადაცემა უკვდავყოფად. იმავე ბრძოლაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ირანი“

თბილისის კინოთეატრებში ამჟამად უჩვენებენ საბჭოთა დიდ დოკუმენტალურ ფილმს ჩვენი მეგობარი ქვეყნის ირანის შესახებ. ფილმი იწყება ისტორიული მიმოხილვით. 3.000 წელზე მეტს ითვლის ირანის ისტორია. ეკრანზე ჩვენ ვხედავთ წარსულის შესანიშნავ ძეგლებს, ძველი ირანული არქიტექტურის იშვიათ ნიმუშებს. არქეოლოგიურ მუზეუმში გამოფენილია ძვირფასი ექსპონატები. კინოოპერატორებს ალუბეჭდავთ აფსკზე თითქმის ყველა ღირსშესანიშნავი ისტორიული ქალაქი: ფირდოუსის სამშობლო ტუსი, ჰაფიზისა და საადის სამშობლო შირაზი, მეშჰედი, სადაც ჰარუნ ალ რაშიდია დასაფლავებული. ისფაჰანში მაყურებელს აკვირვებს 40-სვეტიანი სასახლე და სწავლულის აბუ-აბდულას საფლავზე აგებული მეჩეთი მოქანავე მინარეთით.

ირანი უკვე ევროპული განათლების გზას ადგია. სატახტო ქალაქი თეირანი სადაც 600.000 მცხოვრებია, ევროპული ქალაქია საუცხოო პარკებით, მრავალსართულიანი სახლებით, სტადიონით, სკოლებით, მუზეუმებით, თეატრებით. ფილმი გვიჩვენებს თუ რა წარმატებით სარგებლობენ ირანში საბჭოთა კინოფილმები.

გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს ნავთის მრეწველობის ცენტრი—ჰამადანი, ტრანსირანის რკინიგზა 224 გვირაბითა და 5.000 ხიდით, უზარმაზარი ელევატორი, აგებული საბჭოთა სამშენებლო ორგანიზაციების მიერ. სამხრეთის დიდი ნავსადგურები, სავსე საოკეანო გემებით.

ირანი სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. მეცხოველეობას უმთავრესად ეწევიან მომთაბარე ხალხები. მიწათმოქმედების ძირითადი კულტურაა ხორბალი. თესავენ ბრინჯს, საბახჩე კულტურებს. ეკრანზე ვხედავთ განთქმული ირანული ინდიგოების ტყეებს. გლეხები მიწას პირველყოფილი კავებით ხნავენ. წყლის დიდი სიმცირეა. მიწისქვეშ მრავალ კილომეტრზე გათხრილ არხებში ინახავენ წყალს გლეხები და დიდი დაზოგვით ხარჯავენ.

ფილმი გვიჩვენებს ირანის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებას, ქვეყნის საზოგადოებრივ მოღვაწეებს შაჰინშაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევის მეთაურობით. თვით შაჰინშაჰი ფილმში ნაჩვენებია სამუშაო ოთახში, თავის ოჯახში, დიპლომატიურ მიღებაზე და სტადიონზე.

ფილმი დადგა სტალინური პრემიის ლაურეატმა რეჟისორმა ი. პოსელსკიმ, რომელმაც თანამედროვე ირანის ცხოვრების ყველა მხარე აღბეჭდა კინოაფსკზე. ფილმი გვიჩვენებს როგორ შესძლო ირანმა საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთთან კავშირის განმტკიცებით მშვიდობიანი განვითარებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

ჩვენი მაყურებელი დიდი ინტერესით ნახავს ამ მშვენიერ ფილმს ჩვენი მეზობელი მეგობარი ქვეყნის შესახებ.

ვ. რიონელი

# კიროვის რაიონის საწარმოო არტელების მუშაკთა თათბირი

18 ივნისს, საღამოს, ლ. პ. ბერიას სახელობის კლუბში ჩატარდა სარეწაო საბჭოს და საქ. კოოპინკავშირის სისტემის კიროვის რაიონის საწარმოო არტელების მუშაკთა თათბირი, რომელიც მოწვეულ იქნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის მიერ.

თათბირი გახსნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის მდივანმა ამხ. ქ. ხოშტარიამ. დღის წესრიგში დასმულ საკითხზე—რაიონში შემავალი საწარმოო არტელების 1943 წლის 5 თვის მუშაობისა და საკავშირო სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. მ. წერეთელი.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, სარეწაო საბჭოს სისტემის კიროვის რაიონის საწარმოო არტელებმა და საქ. კოოპინკავშირის საწარმოო არტელებმა გასული 5 თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანების პასუხად მთელმა რიგმა საწარმოო არტელებმა გარდაჰქმნეს თავიანთი მუშაობა და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. მაგალითად, არტელ „უტილპრომკომბინატმა“ (თავმჯდომარე ამხ. ხალატოვი) 5 თვის გეგმა ყველა სახის პროდუქციის გამოშვების დარგში გადაჭარბებით შეასრულა, საგრძნობლად შეამცირა თვითღირებულება, გაადიდა შრომის ნაყოფიერება; არტელ „მკერავთა კომუნამ“ (თავმჯდომარე ამხ. გუგუშვილი) მაისის გეგმა 104,2 პროცენტით შეასრულა, ხოლო არტელ „პრომშერსტმა“ (თავმჯდომარე ამხ. სირბილაძე)—108 პროცენტით. პირნათლად ასრულებენ სპეცდავალებებს არტელები „მკერავთა შეკავშირება“, „შტამპი“, „ინმაგალითი“ და სხვ.

მაგრამ ამასთანავე არიან საწარმოო არტელები („ელექტრომეტალი“, „რემობუვი“, „მშრომელი“, „ინსაწკომბინატი“, „გრიგალი“), რომლებმაც მაისის გეგმები ვერ შეასრულეს. არტელ „რემობუვს“ (თავმჯდომარე მაისურაძე), რომელიც ფეხსაცმლის გამოშვებაზე მუშაობს, არ შეუსრულებია 5 თვის გეგმა. აქ აგრეთვე გაიზარდა პროდუქციის თვითღირებულება, ადგილი აქვს გადახარჯვებს, მოუწესრიგებელია აღრიცხვა, არტელის ხელმძღვანელობა ნაკლებად არის დაინტერესებული წარმოების საკითხებით, არ ღებულობს ზომებს ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. ზოგ საწარმოო არტელში („უტილგადამუშავება“, „ხიმტემპი“, „რემობუვი“ და სხვ.) იშვიათად იწვევენ არტელის წევრთა საერთო კრებებს, საწარმოო თათბირებს, არ იბრძვიან ახალმოსული მუშების საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, სტახანოვური მოძრაობისა და სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლისათვის.

მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდნენ ამხ. პანიევი, ლიბიჩი, აკობჯანოვი, სემაშკევიჩი, შაფაქიძე, დგებუაძე, ფურცხვანიძე, აბაიშვილი, ჯებაშვილი.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის მდივანმა ამხ. ხოშტარიამ.

დასასრულ თათბირმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ჩვენი ქვეყნისა და ფრონტისათვის გეგმის გადამეტებით ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, ქსოვილების, მეტი კვების პროდუქტების გამოშვების უზრუნველსაყოფად.

# სახანძრო დაცვის წესების დაუცველობისათვის

სახანძრო უშიშროების დაწესებულ მოთხოვნათა შეუსრულებლობისა და სათანადო ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის დარღვევისათვის, აგრეთვე დაუდევრობის გამო გაჩენილი ხანძრებისათვის საქართველოს სსრ შინსახკომის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების მიერ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული, აგრეთვე სამუშაოდან მოხსნილი და დაჯარიმებული არიან საწარმო-დაწესებულებათა მთელი რიგი მუშაკები.

ქობულეთის ტუნგის ზეთსახდელ ქარხანაში სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შედეგად გაჩნდა ხანძარი, რის გამო ქარხნის დირექტორი ნემსაძე მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პარტიულ პასუხისგებაში, ხოლო ამავე ქარხნის სახანძრო დაცვის უფროსი ბალაძე მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

დიდი ჯყონის № 1 ჩაის ფაბრიკის მუშაკს ნ. კოლბასიუკს მის ბინაში გაჩენილი ხანძრისათვის სახალხო სასამართლომ მიუსაჯა 3 წლის პატიმრობა და ხანძრისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

ნაბაკევის ჩაის ფაბრიკის საერთო საცხოვრებელში მომხდარი ხანძრის გამო პასუხისგებაში მიცემული არიან ფაბრიკის ელექტრომონტიორი ა. ა. ვალიევი, ელექტროინჟინერი ს. მ. ჩიხლაძე და სახანძრო-საგუშაგო დაცვის უფროსი ე. დ. შამუგია.

6 ქარხანაში ქარხნის ტერიტორიის გაუწმენდაობისა, მაზუთსადენის შეუკეთებლობისა და აგრეთვე იმისათვის, რომ ქარხნის ტერიტორია გამაზუთიანებული იყო, დაჯარიმებული არიან ქარხნის მუშაკები ი. მ. პერცოვსკი 500 მანეთით, მ. კ. ბარხუდაროვი—300 მანეთით, ხოლო საამქროს უფროსი ს. დ. ძამაშვილი—100 მანეთით.

ის ქარხანა, სადაც დირექტორად არის ამხ. შამათავა, არ იყო უზრუნველყოფილი ხანძრის ქრობის საშუალებებით, მუშაკებს არ ეძლეოდათ სათანადო ინსტრუქტაჟი, რის შედეგად იყო ხანძრის გაჩენის შემთხვევა, საამქროები გავსებული იყო ნახევრად გამზადებული პროდუქციით სავსე ყუთებით, რისთვისაც დაჯარიმებული არიან საამქროების უფროსები: სკლიაროვი 150 მანეთით, ახმეტოვი—100 მანეთით, კამენსკი—200 მანეთით.

ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის დაუცველობისათვის ხაშურის რკინიგზის კვანძის მუშაკები ამხ. ლევიძე, ზადიკაშვილი, ნაგორნი, რუხაძე და მოჯაძე დაჯარიმებული არიან ას-ასი მანეთით.

# სტუდენტები ეუფლებიან სამხედრო საქმეს

ამას წინათ თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო სწავლების კათედრამ ვაკეში ჩაატარა სტუდენტთა პირველი სამხედრო-ტაქტიკური მეცადინეობა.

მეცადინეობის თემად აღებული იყო „სვლა და მისი დაცვა შეხვედრითი ბრძოლის მოლოდინში და შეხვედრითი ბრძოლა“.

შეხვედრითი ბრძოლის დამთავრების შემდეგ მოეწყო ვოროშილოვისებურ მსროლელთა შეჯიბრება მცირეყალიბიანი შაშხანის სროლაში 50 მეტრის დისტანციაზე. სროლაში 56 ვოროშილოვისებურმა მსროლელმა მიიღო მონაწილეობა. პირველი ადგილი დაიკავა ეკონომიური ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა ვალიდა ცომაიამ, რომელმაც სამი ვაზნით 30 შესაძლებლიდან 24 ქულა მოაგროვა. ასევე კარგი მაჩვენებლები აქვთ ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის სტუდენტ ჯიბლაძეს, ქიმიური ფაკულტეტის სტუდენტ დადიანს და სხვ.

# თეატრებში

**23 ივნისს:** სახოპერა—„რახილი“. რუსთაველის სახელობის—„საპატარძლო აფიშით“. მარჯანიშვილის სახელობის—„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. გრიბოედოვის სახელობის—„არშინ-მალ-ალან“. მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი—„ჩექმებიანი კატა“.

# კინოებში

რუსთაველის სახ.—„ანტოშა რიბკინი“, ოქტომბერი—„ლედი ჰამილტონი“. დამკვრელი—„ჩემი სიყვარული“, კომკავშირელი—„სამი მუშკეტერი“, სპარტაკი—„გამარჯვება უდაბნოში“, ლუქსემბურგის სახ.—„საბრძოლო კინოკრებული № 11“, განთიადი და 26 კომ. სახ.—„ირანი“.

# ელ. ჩერქეზიშვილის შემოქმედების საღამო

21 ივნისს მარჯანიშვილის თეატრში შესდგა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ელ. ჩერქეზიშვილის შემოქმედების საღამო, რომელიც პოეტ ი. გრიშაშვილის შესავალი სიტყვით გაიხსნა. ი. გრიშაშვილმა დაახასიათა ე. ჩერქეზიშვილის 60 წლის მოღვაწეობა ქართულ სცენაზე.

მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივმა ე. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოადგინა რ. ერისთავის ვოდევილი „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწილეს“, ვ. გუნიას „დედისერთა“ და რამდენიმე სურათი ა. ცაგარლის კომედიიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“.

საღამო დამთავრდა მილოცვებით. რუსთაველის თეატრის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ა. ვასაძემ, მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივის სახელით—პ. კობახიძემ. ე. ჩერქეზიშვილს მიესალმა ვ. ანჯაფარიძე, ხოლო ი. გრიშაშვილმა წაიკითხა მსახიობისადმი მიძღვნილი ლექსი.

საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო და ე. ჩერქეზიშვილს მხურვალე შეხვედრა მოუწყო.

# სამხედრო-საჰაერო ძალთა სპეცსკოლის კურსდამთავრებულთა გამოშვება

11 ივნისს, საღამოს 6 საათზე, პიონერთა სასახლეში შესდგა საქ. სსრ განსახკომის სამხედრო-საჰაერო ძალთა სპეცსკოლის კურსდამთავრებულთა მესამე გამოშვება.

საზეიმო-გამოსაშვები საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სკოლის უფროსის მოადგილემ პოლიტნაწილში კაპიტანმა ამხ. ს. მჭედლიძემ.

კურსდამთავრებულთა მუშაობის შედეგების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა სკოლის უფროსი ამხ. ფ. სუმაროკოვი, რომელმაც დამსწრეთ გააცნო, რომ კურსდამთავრებულთა შორის 17 მსმენელმა დაამთავრა ფრიადზე და 17—კარგ ნიშანზე. ესენი არიან ვლ. ალექსანცევი, გ. ჩუბუკინი, ეგოროვი, ა. გეგეჭკორი, ე. მანჯგალაძე და სხვ.

საღამოზე პატრიოტული სიტყვა წარმოსთქვა დამსახურებულმა მასწავლებელმა ამხ ა. სავინოვმა. კურსდამთავრებულთ მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. თარხანოვმა, მასწავლებლებმა ვ. ჩიტაევმა, ს. ცივილინმა და ს. გრძელიშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე კურსდამთავრებულნი: ფრიადოსანი ოგნევი, კარაპეტიანი, ჩოჩუა და სხვ.

საქართველოს სსრ განსახკომის სამხედრო მომზადების სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. გ. მერკვილაძემ წაიკითხა საქ. სსრ განათლების სახალხო კომისრის ბრძანება, რომლითაც სკოლაში ფიზკულტურული მუშაობის კარგად დაყენებისათვის მადლობა გამოეცხადა და დაჯილდოებულ იქნა საქ. სსრ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის სიგელით სკოლის უფროსი ამხ. ფ. სუმაროკოვი. სიგელები მიეცათ მოსწავლეებს კაზანჯიანს, სტრუჩალინს, ჟღენტს, მეძველიას და სხვ. გარდა ამისა, სკოლის ადმინისტრაციამ ფრიადოსანი კურსდამთავრებულები დააჯილდოვა სხვადასხვა მხატვრული ლიტერატურით.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის, მოსკოვის და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების საუკეთესო მსახიობებმა.

# ნევროლოგიური ცენტრი ჰოსპიტალში

ევაკოჰოსპიტალში, სადაც უფროსად არის სამედიცინო სამსახურის მაიორი გ. ფიცხელაური, ეწყობა ნერვულ დაავადებათა შემსწავლელი ცენტრი. საგამოკვლევო და სამკურნალო მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ აკადემიკოსები, პროფესორები, დოცენტები. ფიზიოლოგიურ კაბინეტს სათავეში ჩაუდგება აკადემიკოსი ი. ბერიტაშვილი, ფსიქოლოგიურს—აკადემიკოსი დ. უზნაძე, ფსიქოპათოლოგიურს და სამკურნალო-პედაგოგიურს — პროფ. ანანიევი, გრძნობის ორგანოთა პათოლოგიის კაბინეტს — დოცენტები სიხარულიძე და ჩარგეიშვილი. აკადემიკოსი გ. ახვლედიანი ხელმძღვანელობას გაუწევს ლოგოპედიურ კაბინეტს, პროფ. ლეჟავა — პათო-გისტოლოგიურს.

დამტკიცებულია სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა, დასახულია თემატიკა მეცნიერული ნაშრომებისა, რომელთა ნაწილი უკვე მზადდება გამოსაცემად. მუდმივ კონსულტანტებად იმუშავებენ პროფესორები ზაქარაია, სარაჯიშვილი, ქავთარაძე, ყიფშიძე და სხვები. (საქტესი).

# კ. ნ. შეროზიას ქუჩა

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ამოს ქუჩას ეწოდა კალისტრატე ნესტორის-ძე შეროზიას ქუჩა.

# ლექციები და მოხსენებები

25 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ზავრიევის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები“.

ბილეთების მიღება შეიძლება საქალაქო პარტკაბინეტში დილის 9 საათიდან საღ. 8 საათამდე.

---

თავი ისახელა ორმა ძმამ—მეავტომატე კორკოტაშვილებმა. ისინი მტრის ტანკების უკან მომავალ ქვეითა ჯარს ჰკაფავდნენ და წინ მიიწევდნენ. გაცხარებულ ბრძოლაში მოკლულ იქნა უმცროსი კორკოტაშვილი და ძმის გვერდით დაეცა იგი. უფროსი არ შედრკა. „შურს ვიძიებ, ორმოცი გერმანელის სიცოცხლე უნდა შევწირო ჩემი ძმის გაციებულ გულს“,—გადასძახა თავის ამხანაგებს და ამ ალთქმის შესასრულებლად განაგრძო დაუნდობლად მტრის ჟლეტა. ასე მძვინვარებდა ცეცხლი ყოველ უბანზე. ჩვენი მებრძოლები წინ მიიწევდნენ. მტერს კარგად გამაგრებული ადგილი ეკავა და მისი ამოშანთვა ძნელი ხდებოდა. სათვალთვალო პუნქტიდან კაპიტანმა კინწურაშვილმა შეამჩნია, რომ პირდაპირ საბრძოლო პოზიციაზე ჩვენი იერიში შეჩერდა. მარჯვნივ და მარცხნივ შემტევმა ფლანგებმაც შეანელეს იერიში. კინწურაშვილმა მალე შეიტყო, რომ ცენტრის შემტევი ჯგუფის მეთაური მოკლულ იქნა და ჯგუფს შეტევის ხელმძღვანელი არა ჰყავდა. მისმა შეჩერებამ გამოიწვია მარჯვენა და მარცხენა ფრთის იერიშის შენელებაც. კაპიტანმა კინწურაშვილმა მაშინვე აუღო ალღო შექმნილ მდგომარეობას. იგი მოსწყდა სათვალთვალო პუნქტს და მიიჭრა უმეთაუროდ დარჩენილ ათასეულთან. მისვლისთანავე კაპიტანმა დაინახა, რომ მტრის განლაგებამდე მხოლოდ ორმოცდაათი ნაბიჯი დარჩენილიყო. მეთაურმა გაბედულად დასჭექა—„წინ სტალინისათვის, მამულისათვის“,—მთელი ათასეული ფრთებივით დაემორჩილა მეთაურის მოწოდებას და გამხნევებული გაჰქანდა მტრის გასანადგურებლად. მაშინ მარჯვნივ და მარცხნივ მოიერიშე ჩვენი ნაწილებიც შევარდნენ მტრის განლაგებაში და შეიქნა გერმანელთა დაუნდობელი ჟლეტა. მებრძოლები მედალოსანი სინჯიაშვილი, მედალოსანი რკვენაძე, მელიქიშვილი, სკარედინი და ყურაშვილი, ლეიტენანტი ჩხეიძე, უფროსი ლეიტენანტი ხუნდაძე, კაპიტანი ეფაძე, კაპიტანი დუმბაძე და საბჭოთა საქართველოს სხვა მრავალი მამაცი შვილი თავდადებულად იბრძოდა მამულის კეთილდღეობისათვის. ჩვენმა მებრძოლებმა მტრის ხუთი საცეცხლე ბუდე დაანგრიეს და სოფელი დილის ოთხ საათზე გაათავისუფლეს. ამ ბრძოლაში მოკლულ იქნა მტრის რამდენიმე ასეული ჯარისკაცი და ოფიცერი, სოფელი მოიფინა გერმანელთა გვამებით. სოფელში კიდევ დარჩა რამდენიმე სახლი გერმანელ მეავტომატეთა განკარგულებაში. ისინი სახლთა სხვენებზე გამაგრდნენ და იქიდან ავტომატებით ცხრილავდნენ ჩვენს პოზიციებს. მაგრამ ჰიტლერელთა ხერხემალი უკვე გატეხილი იყო. ჩვენი მებრძოლები სახლიდან სახლში გადადიოდნენ იერიშით და სპობდნენ აფთართა ბუნაგებს. საღამოს 9 საათზე კასავსებით გაწმენდილ იქნა მტრის ჯარისაგან.

მეორე დილით ათ საათზე ისევ დაიწყო გააფთრებული ბრძოლა, მტერი ვერ შეურიგდა კ-ს დაკარგვას და ახალი იერიში მოიტანა სოფელზე. მეთვალთვალემ დაინახა შეტევაზე მომავალი ჩვიდმეტი ტანკი, ტანკებს მოსდევდა ქვეითი ჯარი და კავალერია. მტერი პირდაპირ სოფელზე მოდიოდა და ჩვენი ჯარის გასასვლელი გზის გადაკეტვას ცდილობდა. მტრის მეავტომატეებმა მარცხნივ მოუარეს ჩვენს ნაწილებს, მარჯვნივ კავალერია შემოერტყა სოფელს, ჰიტლერელმა ავაზაკებმა მოინდომეს ჩვენი მებრძოლების შემორკალვა და მათი სრული განადგურება. მაიორი მანაგაძე თავისი ვაჟკაცებით შეხვდა მტრის მეავტომატეებს და დაახევინა უკან, ხოლო კაპიტანმა კინწურაშვილმა მიიღო დავალება ტანკების წინააღმდეგ მებრძოლთა ჯგუფისათვის ხელმძღვანელობა გაეწია. კაპიტანი ელვის სისწრაფით გაჩნდა მებრძოლებთან და შესძახა: „მოემზადეთ ტანკების შესახვედრად. დავიხოცოთ და მტერი არ გამოვუშვათ“, მთელმა ნაწილმა ერთხმად შეჰფიცა მეთაურს, და აგრიალდნენ ტანკსაწინააღმდეგო თოფები. შეტორტმანდა პირველი ტანკი, დაიმსხვრა იგი, გერმანელებმა გეზი შესცვალეს და ფლანგით იწყეს შემოვლა, შეავიწროვეს კინწურაშვილის მეზობლად მდგარი ქვეგანაყოფი. მაშინ კინწურაშვილი გაეშურა და მიეშველა მტრის ცეცხლში მოქცეულ ნაწილს. „ჯავშანსატვრეველებო, ცეცხლი, დანარჩენები წინ“,—დაიძახა მან და პირველი გაექანა მტრის ქვეითა ჯარისაკენ. გამხნევებული მებრძოლები ეკვეთნენ ჰიტლერელ ავაზაკებს. მტრის შემოტევა მოგერიებულ იქნა და ორი მხრივ მოიერიშე მტერი გატყდა. წინადღით მოპოვებული გამარჯვება და სოფელი შეინარჩუნა ჩვენმა ლაშქარმა.

იმავე დილით შალვა დავითულიანი თორმეტი მებრძოლის თანხლებით კ-ში ბრუნდებოდა. მან დავალება ზუსტად შეასრულა, აღადგინა კავშირი მეზობელ სოფელში მდგარ წითელ მებრძოლებთან და გამოარკვია მტრის მაშველი ძალების განლაგება. გზა გადაჭრილი იყო და მებრძოლები მოდიოდნენ ღელიანების, ჭაობის და ლიმანების გავლით. როდესაც სოფელს მიუახლოვდნენ, დავითულიანმა ჭოგრიტით ბრძოლის ცეცხლი დაინახა და სოფლის გარეუბანში, ლაქაშებში შენიღბული ბლინდაჟები შეამჩნია. მეთაურმა ვერ გაარჩია ბლინდაჟებში მყოფი მებრძოლთა გარეგნობა, ვერ გამოიცნო ისინი. დავითულიანი შეეჭვდა და ორი მებრძოლი გაგზავნა ბლინდაჟების დასაზვერავად. მართლაც ორი წითელარმიელი დახრილი წავიდა და მცირე ხნის შემდეგ მზვერავებმა დაინახეს მათი ქუდების რხევა. დავითულიანი წავიდა. მაგრამ რატომღაც ფრთხილობდა. მზვერავები მიუახლოვდნენ ლაქაშებში შენიღბულ ბლინდაჟებს. იქიდან რუსული სიტყვების გადმოძახება მოისმა, დავითულიანის მახვილმა ყურმა რუმინელთა ხმა გამოიცნო. გადაწყვეტილება ელვის სისწრაფით მიიღო, სასწრაფოდ დაიხია თავისი რაზმით და ეწერში ჩაიმალა. მტერმა ტყვია სეტყვასავით დააყარა დავითულიანის გუნდს. მოჰკლეს გამოცდილი მზვერავი ლატარია, დავითულიანმა მოიმარჯვა ავტომატი, მზვერავები შეჯგუფდნენ და შეჰფიცეს მეთაურს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოლნათ, სამშობლოს სასახელოდ დახოცილიყვნენ. დიდი სტალინის დროშასთან შეფიცული თერთმეტი ვაჟკაცი გამაგრდა ჭაობში და ღამის ათ საათამდე ებრძოდა მრავალრიცხოვან მტერს. ტყვიამფრქვევები და ავტომატები კაკანებდნენ, ლაქაშებში შხუოდნენ ნაღმები და წიოდნენ ფერადი ტყვიები, მაგრამ დავითულიანის მცირე რაზმი მედგრად იბრძოდა და ბლინდაჟებიდან საიერიშოდ ამოსულ რუმინელებს სცელავდა, „სდავაისია, რუს“,—იძახოდა რუმინელი და ჩვენი მებრძოლები ტყვიით აძლევდნენ საკადრის პასუხს თავხედ ჰიტლერელთა ლაქიებს.

საღამოს ჟამზე სოფელში მებრძოლმა ჩვენმა ნაწილებმა გარეუბანიც გასწმინდეს და დავითულიანის მედგარი რაზმი გამოვიდა საფარიდან. იგი საბჭოთა კ-ში ქართველ მებრძოლებს შეუერთდა.

---

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრი

## მუსიკალური კომედიის სახ. თეატრის წარმოდგენები

| 23 ივნისს | 24 ივნისს | 25 ივნისს | 26 ივნისს | 27 ივნისს დღისით / 27 ივნისს საღამოს |
|---|---|---|---|---|
| არშინ-მალ-ალან | ს ი ლ ვ ა | როზ-მარი | ხაჯარათი | არშინ მალ-ალან / ოქროს გასაღები |

სალარო ღიაა დილის 11-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან.
წარმოდგენების დასაწყისი დილის 11 ს. და 30 წ. საღამოს 7 ს. და 30 წ.

## თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

აცხადებს, რომ 1943 წლის 8 ივლისს, დღის 3 საათზე, მედინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) შესდგება საბჭოს სხდომა, რომელზეც მედ. მეცნ. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის ასისტენტი მამედ ესედის-ძე კომახიძე თემაზე: „ელენთის არტერიის გადაკვანძვის საკითხისათვის“.

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან მეცნ. დამსახ. მოღვ. პროფ. კ. დ. ერისთავი, მეცნ. დამსახ. მოღვ. პროფ. ნ. ყიფშიძე და პროფ. ს. საყვარელიძე.

15 ივლისს, დღის 3 საათზე, იმავე აუდიტორიაში, მედ. მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს: საფაკულტ. თერაპიის კათედრის ასისტენტი კონსტანტინე სპირიდონის-ძე ვირსალაძე თემაზე: „მასალები ვისცერალური ლუესის კლინიკისათვის“.

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან მეცნ. დამსახ. მოღვ. პროფ. ალ. ს. ალადაშვილი და პროფ. გ. ი. დიდებულიძე.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს მედინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (მელიქიშვილის ქ. № 16).

დირექცია

## საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო აცხადებს ღია კონკურსს

ქალ. თბილისში ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის ძეგლებისა და იაკობ გოგებაშვილის ბიუსტის აგებაზე.

ძეგლებისა და ბიუსტის მიღებული ესკიზებისათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

1. ილია ჭავჭავაძის ძეგლის ესკიზებისათვის:
1-ლი პრემია 6.000 მან., მე-2 პრემია 4.000 მან., მე-3 პრემია 2.000 მან.

2. აკაკი წერეთლის ძეგლის ესკიზებისათვის:
1-ლი პრემია 6.000 მან., მე-2 პრემია 4.000 მან., მე-3 პრემია 2.000 მან.

3. იაკობ გოგებაშვილის ბიუსტის ესკიზებისათვის:
1-ლი პრემია 3.000 მან., მე-2 პრემია 2.000 მან., მე-3 პრემია 1.000 მან.

ესკიზების წარმოდგენის ვადა დადგენილია ა. წ. 1 სექტემბერი. ყველა ცნობების მიღება შეიძლება შემდეგი მისამართით: ქალ. თბილისი, საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო, სახვითი ხელოვნების განყოფილება (მაჩაბლის ქ. № 13) დღის 1 საათიდან 4 საათამდე.

100

## საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მიღების წესები 1943-44 სასწავლო წელს

I. მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებზე:

1) სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე (სპეციალობა—სოფლის მეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორი),

2) ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე (სპეციალობა—ინჟინერ-ტექნოლოგი) ორი განხრით: ა) ყურძნის, ხილის და ბოსტნეულის პროდუქტთა ტექნოლოგიის განყოფილებაზე და ბ) ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა პროდუქტების ტექნოლოგიის განყოფილებაზე,

3) სუბტროპიკულ კულტურათა ფაკულტეტზე (სპეციალობა—აგრონომი),

4) მებაღეობა-მევენახეობა-მებოსტნეობის ფაკულტეტზე (სპეციალობა—აგრონომი).

5) აგრონომიულ (მემინდვრეობის) ფაკულტეტზე (სპეციალობა—აგრონომი),

6) სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე (სპეციალობა—ინჟინერი-მეტყევე),

7) მცენარეთა დაცვის ფაკულტეტზე (სპეციალობა—აგრონომი),

8) მეაბრეშუმეობის ფაკულტეტზე (სპეციალობა—აგრონომი).

II. ინსტიტუტში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 17-დან 35 წლის ასაკამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ სრული საშუალო სკოლა.

III. უგამოცდოდ მიიღებიან ის პირნი, ვისაც 1941-43 წლებში დამთავრებული აქვთ საშუალო სასწავლებელი „ფრიადზე“ და „კარგზე“, ის პირები კი, ვისაც ხსენებული წლების განმავლობაში სასწავლებელი გათავებული არა აქვთ „ფრიადზე“ და „კარგზე“, თავისუფალი ადგილების არსებობისას, ჩაირიცხებიან უგამოცდოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში—საკონკურსო გამოცდების ჩაბარებით.

IV. განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: ა) ავტობიოგრაფია, ბ) საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), გ) პასპორტი (წარმოადგენს პირადად), დ) სამი ფოტოგრაფიული სურათი (3×4 სმ. ზომის, გადაღებული უქუდოდ და შემოწმებული), ე) სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების ცნობა (სამხედროვალდებულთათვის).

V. მისაღები გამოცდები იწარმოებს 15-დან 25 სექტემბრამდე შემდეგ საგნებში: 1) სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე: ა) მათემატიკაში (წერითი და ზეპირი), ბ) ფიზიკაში, გ) ქიმიაში, დ) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერითი და ზეპირი), ე) რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერითი და ზეპირი),

2) ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე იმავე საგნებში ერთ-ერთი უცხო ენის დამატებით,

3) ყველა დანარჩენ ფაკულტეტებზე: ა) ფიზიკაში, ბ) ქიმიაში, ვ) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერითი და ზეპირი). დ) რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერითი და ზეპირი).

VI. განცხადებების მიღება იწარმოებს 1 ივნისიდან 31 აგვისტომდე.

VII. მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბერს.

ინსტიტუტის მისამართი—თბილისი, მარის ქ. № 33.

ინსტიტუტის დირექტორი გ. იაკობაშვილი.

## კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი

აწარმოებს სტუდენტთა მიღებას 1943-44 სასწავლო წლისათვის ქართული და რუსული სექტორების შემდეგ ფაკულტეტებზე და სპეციალობებზე:

1. სამშენებლო ფაკულტეტი: ა) სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; ბ) ჰიდროტექნიკური მშენებლობა; გ) არქიტექტურა, დ) საგზაო მშენებლობა.

2. ელექტროტექნიკური ფაკულტეტი: ა) ელექტროსადგურები, ქსელები და სისტემები. ბ) სამრეწველო საწარმოთა ელექტრომოწყობილობა.

3. სამთო ფაკულტეტი: ა) მადნეულ ბუდობთა დამუშავება; ბ) ქვანახშირის (ფენოვან) ბუდობთა დამუშავება; გ) გეოლოგია და მადნეული ბუდობების ძიება; დ) სამარკშეიდერო საქმე.

4. ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტი: ა) არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია; ბ) სილიკატების ტექნოლოგია.

5. მექანიკური ფაკულტეტი: ა) ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა; ბ) მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია.

6. დაუსწრებელი განყოფილება.

ყველა ზემოაღნიშნულ სპეციალობაზე არსებობს დაუსწრებელი განყოფილება, სწავლის ხანგრძლივობა 5 წელი.

განცხადებები მიიღება კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის დირექტორის სახელზე (სამოსწავლო შესახვევი № 2/4), სასურველი ფაკულტეტის, სპეციალობის და სექტორის დასახელებით, 1 ივნისიდან 1-ლ ივლისამდე, ხოლო დაუსწრებელ სექტორზე—31 აგვისტომდე ყოველდღე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა, დილის 11 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

განცხადებას უნდა დაერთოს: 1) ატესტატის დედანი საშუალო სასწავლებლის დამთავრების შესახებ, 2) ავტობიოგრაფია, 3) სამი შემოწმებული ფოტოსურათი, 4) ცნობა სამხედრო მოვალეობასთან დამოკიდებულების შესახებ, 5) ხსენებული ინსტიტუტის ექიმის მიერ გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

მიღების პირობების და ინსტიტუტის სპეციალობათა შესახებ დაწვრილებითს ცნობებს მსურველი მიიღებს მიმღები კომისიის მდივანთან დღის 11 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

ინსტიტუტთან არსებობს სტუდენტთა სასადილო.

№ 120 ინდუსტრიული ინსტიტუტის დირექტორი ა. პ. ბოჯგუა

## თბილისის სახელმწიფო სტომატოლოგიური ინსტიტუტი

აცხადებს, რომ 1943-44 სასწავლო წლისათვის ინსტიტუტში ჩასარიცხავად განცხადებების მიღება სწარმოებს ა. წ. 31 ივლისამდე ყოველდღე დილის 10 საათიდან 4 საათამდე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა. მისამართი: თბილისი, კრილოვის ქ. № 2, ოთახი № 1.

განცხადებას უნდა დაერთოს ატესტატი (დედანი), ავტობიოგრაფია, სამი ფოტოსურათი, მეტრიკული ამონაწერი, ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, პასპორტი (წარმოადგენს პირადად).

ინსტიტუტში მეცადინეობა სწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ურუშაძე

## ცეკავშირის თბილისის კოოპერატიული ტექნიკუმი

აცხადებს მოწაფეთა მიღებას საბუღალტრო და საქონლისმცოდნეობის განყოფილებათა პირველ კურსზე 1943-44 სასწავლო წლისათვის

ტექნიკუმი ამზადებს ბუღალტრებს და საქონლისმცოდნეებს სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონული კავშირებისათვის. სწავლის ხანგრძლივობა საბუღალტროზე—2 წელი, საქონლისმცოდნეობის განყოფილებაზე—3 წელი.

ტექნიკუმში მიიღებიან საბჭოთა კავშირის 15-30 წლ. ასაკის მოქალაქენი საშუალო სკოლის 7 კლასის განათლებით.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირნი, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლის 7 კლასი 1941, 1942 და 1943 წლებში ფრიად და კარგ ნიშნებზე.

განცხადებები მიიღება 10 სექტემბრამდე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1) განათლების მოწმობა, 2) მეტრიკული ამონაწერი, 3) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 4) ორი შემოწმებული ფოტოსურათი.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 15 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე შემდეგ საგნებში:

1. სსრ კავშირის კონსტიტუცია, 2. მათემატიკა, 3. ქართული ენა და ლიტერატურა 7 კლასის მოცულობით.

ტექნიკუმში მიღებულები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და დახურული სასადილოთი.

სწავლის გადასახადი და სტიპენდია საერთო წესით.

მეცადინეობა იწყება 1 ოქტომბერს.

თბილისის კოოპერატიული ტექნიკუმის დირექცია

## მიღების წესები საქ. სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტში 1943-44 სასწავლო წელს

მიღება იწარმოებს ზოოტექნიკურ და სავეტერინარო ფაკულტეტებზე. უგამოცდოდ მიღებული იქნებიან ფრიადოსნები, აგრეთვე ისინი, რომლებმაც 1941-43 წლებში დაამთავრეს საშუალო სკოლა ყველა საგანში „ფრიადი“ და „კარგი“ ნიშნებით. თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში უგამოცდოდ მიიღებიან აგრეთვე ისინიც, ვინც 1941-43 წლებში საშუალო სკოლა დაამთავრა არა „ფრიადზე“ და „კარგზე“. ეს უფლება ვრცელდება ექსტერნატის წესით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებზეც.

ვაკანტური ადგილების ნაკლებობისას მიღება მოხდება საკონკურსო გამოცდებით, რაც ჩატარდება ა. წ. 15 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე.

განცხადებების მიღება სწარმოებს 1 ივნისიდან 31 აგვისტომდე.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: ა) ავტობიოგრაფია, ბ) ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), გ) სამი ფოტოსურათი ზომით 3×4 ს. მ. დ.) ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (სამხედროვალდებულთათვის), ე) პასპორტი (უნდა წარმოადგინოს პირადად). ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, მარის ქუჩა № 15 (ტელეფონი №3—67—83). ცნობებისა და კონსულტაციის მიღება ინსტიტუტში ჩარიცხვის შესახებ შეიძლება ყოველდღე დილის 10 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 11 საათამდე ინსტიტუტის სასწავლო ნაწილში.

საქ. სახ. ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის დირექტორი დოცენტი ნ. ცომაია.

№ 99

## მიღების პირობები ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში

1943-44 სასწავლო წელს მიღება იწარმოებს: ა) ფიზიკა-მათემატიკის (სპეციალობა: მათემატიკა და ფიზიკა), ბ) ბუნებისმეტყველების, გ) ენისა და ლიტერატურის (სპეციალობა: 1. ქართული ენა და ლიტერატურა, 2. რუსული ენა და ლიტერატურა), დ) გეოგრაფიის, ე) ისტორიის ფაკულტეტებზე და ინსტიტუტთან არსებული უცხო ენების 2-წლიანი კურსების ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ განყოფილებებზე.

1. ინსტიტუტში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 17-დან 35 წლამდე, რომლებსაც მიღებული აქვთ საშუალო განათლება ან აქვთ ექსტერნატის წესით საშუალო განათლების მიღების ატესტატი.

2. უგამოცდოდ მიიღებიან: ა) ფრიადოსნები და ის პირები, რომლებმაც 1941-1943 წლებში დაამთავრეს საშუალო სკოლა „კარგი“ და „ფრიადი“ ნიშნებით.

ეს პირობები ვრცელდება ექსტერნატის წესით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებზეც. თუ თავისუფალი ადგილები იქნება, 1943 წ. უგამოცდოდ მიღებული იქნებიან აგრეთვე ის პირები, რომლებმაც 1941 და 1943 წლებში გამოცდები ჩააბარეს საშუალო სკოლაში არა „ფრიადზე“ და არა „კარგზე“. ადგილების ნაკლებობისას ინსტიტუტში მიღება მოხდება საკონკურსო გამოცდებით, რაც ჩატარდება 15-დან 25 აგვისტომდე.

3. ინსტიტუტთან არსებულ უცხო ენათა 2-წლიან კურსებზე მიღება იწარმოებს უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა საერთო წესის მიხედვით, იმ განსხვავებით, რომ უცხო ენების კურსებზე შემსვლელებმა უნდა ჩააბარონ გამოცდა ერთ-ერთ უცხო ენაში (ინგლისური, ფრანგული, გერმანული).

4. მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამებისა და არსებული წესების მიხედვით.

5. განცხადებების მიღება სწარმოებს 20 ივნისიდან.

6. შემსვლელს შემოაქვს ინსტიტუტში (ქუთაისი, კიროვის ქ. № 55) დირექტორის სახელზე განცხადება ფაკულტეტისა და სპეციალობის ჩვენებით შემდეგი საბუთების დართვით: ა) ავტობიოგრაფია, ბ) ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), გ) პასპორტი (უნდა წარმოადგინოს პირადად გამოცხადებისას, დ) სამი ფოტოსურათი, ზომით 3×4 სმ, გადაღებული უქუდოდ და დამოწმებული სახელმწიფო დაწესებულების მიერ, ე) ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (აუცილებელია მხოლოდ სამხედროვალდებულთათვის).

7. სტუდენტებად ჩაირიცხებიან: ფრიადოსნები და ის პირნი, რომლებმაც 1941-1943 წელს დაამთავრეს საშუალო სკოლა „ფრიადი“ და „კარგი“ ნიშნებით—20 ივნისიდან, უგამოცდოდ მისაღები ყველა დანარჩენი პირნი 1-დან 15 აგვისტომდე, ხოლო ის პირნი, რომლებიც გამოცდებით უნდა იქნან მიღებულნი—25-დან 29 აგვისტომდე. მეცადინეობა ინსტიტუტში დაიწყება 1 ოქტომბრიდან.

8. ცნობისა და კონსულტაციების მიღება შესვლის შესახებ შეიძლება ინსტიტუტში ყოველდღე 9-დან 4 საათამდე.

ინსტიტუტის დირექტორი დოც. ლ. ჭელიძე

## „თ ე ლ ა ს ს“ ესაჭიროება კონტროლიორები

ელექტროენერგიის ანგარიშების გამოსაწერად

წინადადებით მიმართეთ: თელასი, აკ. წერეთლის ქ. № 6, ენერგოგანაღდების განყოფილება. ოთახი № 70

93

მეუღლე ტასო აბაშიძე შვილებით თენგიზით და გოგით იუწყება პროფესორ
ვალერიან ვლადიმერის-ძე
**სიდამონ-ერისთავის**
გარდაცვალებას.
1431

საქ. საბჭოთა მხატვრების კავშირი იუწყება ხელოვნების დამსახ. მოღვაწის, მხატვართა კავშირის წევრის, ორდენოსან
ვალერიან ვლადიმერის-ძე
**სიდამონ-ერისთავის**
გარდაცვალებას.
1428

თბილისის სამხატვრო აკადემია იუწყება ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ფერწერის პროფესორის
ვალერიან ვლადიმერის-ძე
**სიდამონ-ერისთავის**
გარდაცვალებას.
1429

ილია ზურაბიშვილი და დავით ჩხეიძე იუწყებიან ძვირფასი მეგობრის პროფესორ
ვალერიან ვლადიმერის-ძე
**სიდამონ-ერისთავის**
გარდაცვალებას. დაკრძ. 24/VI, 6 ს. 1430

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 6971